

საქართველოს სახალხო დამცველი

საქართველოს VI სახალხო დამცველი
ნინო ლომჯარია

ხუთწლიანი საქმიანობის ანგარიში

საქმიანობის წლები
2017-2022

პუბლიკაცია მომზადდა სახალხო დამცველის სამსახურის მიერ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სახალხო დამცველის აპარატი და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

საქართველოს სახალხო დამცველად ნინო ლომჯარიას არჩევის კენჭისყრის ამონარიდი



კენჭისყრის ანგარიში

30.11.2017 16:32:03

თემის სათაური

საქართველოს სახალხო დამცველად ნინო ლომჯარიას არჩევის საკითხი (N19026, 27.11.2017),

კენჭისყრის საბოლოო შედეგი

მომხრე	96
წინააღმდეგი	5
კვორუმი	76

2017 წლის 30 ნოემბერს ნინო ლომჯარია არჩეულ იქნა სახალხო დამცველად ორპარტიული მხარდაჭერით (96 ხმით) საქართველოს პარლამენტის მიერ. 5 წლიანი უფლებამოსილების ვადის შესრულებას შეუდგა 2017 წლის 8 დეკემბრიდან.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება

ნინო ლომჯარიას საქართველოს სახალხო
დამცველად არჩევის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 215-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. არჩეულ იქნეს ნინო ლომჯარია საქართველოს სახალხო დამცველად 5 წლის ვადით.
2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 8 დეკემბრიდან.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე

ქუთაისი,
2017 წლის 30 ნოემბერი.
№1379 – Iს

საქართველოს სახალხო დამცველის მანდატი

საქართველოს სახალხო დამცველი არის დამოუკიდებელი კონსტიტუციური ინსტიტუტი. იგი ხელისუფლების არც ერთ შტოს არ მიეკუთვნება. საქართველოს სახალხო დამცველზე ნებისმიერი ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა ისჯება კანონით. საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობს: სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს; საჯარო დაწესებულებების და თანამდებობის პირების მხრიდან საქართველოს ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისთვის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვასა და პატივისცემას. იგი ავლენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენას. სახალხო დამცველის ზედამხედველობა ვრცელდება ყველა კატეგორიის უფლებაზე, მათ შორის, სამოქალაქო და პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებზე.

საქართველოს სახალხო დამცველი 2009 წლიდან ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს. აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველი რეგულარულად ამოწმებს დაკავებულ, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირთა და მსჯავრდებულთა, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში მოთავსებულ პირთა მდგომარეობას და მათდამი მოპყრობას.

საქართველოს სახალხო დამცველი ასევე ასრულებს ანტი-დისკრიმინაციული მექანიზმის ფუნქციას. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში 2014 წლის 20 ნოემბრიდან ფუნქციონირებს თანასწორობის დეპარტამენტი, რომელიც სახალხო დამცველს ეხმარება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებაში.

2014 წლიდან საქართველოს სახალხო დამცველი წარმოადგენს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის (CRPD) პოპულარიზაციაზე, დაცვასა და იმპლემენტაციაზე მონიტორინგის განმახორციელებელ ინსტიტუტს.

სახალხო დამცველი ასევე ასრულებს ფემიციდის მონიტორინგის მექანიზმის ფუნქციებსაც. 2013 წლის მაისში სახალხო დამცველის აპარატში გენდერის დეპარტამენტი შეიქმნა, რომლის მთავარი ფუნქციაა ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მიღწევის პროცესებში ჩართულობა, ასევე, სახალხო დამცველის რეგულარულ საქმიანობაში გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირების ხელშეწყობა.

დამატებით აღნიშვნას იმსახურებს საქართველოს სახალხო დამცველის ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქცია როგორიცაა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება. სახალხო დამცველის აპარატი ორგანიზებას უწევს ადამიანის უფლებათა შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებსა და კამპანიებს, რომლებიც სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებს აერთიანებს.

სახალხო დამცველის ზედამხედველობა კერძო სექტორზე მხოლოდ ბავშვის უფლებათა კოდექსიდან გამომდინარე და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ნაწილში ვრცელდება. საქართველოს სახალხო დამცველი საკუთარი ინიციატივით ან სხვა პირის მიმართვის საფუძველზე აკონტროლებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, მუნიციპალიტეტების, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ ბავშვის უფლებათა კოდექსის შესრულებას. რაც შეეხება დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას, ამ ნაწილში აღსანიშნავია, რომ 2019 წელს სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესაბამისად,

ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს სახალხო დამცველისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება დაეკისრათ, რაც ამ ცვლილებებამდე მხოლოდ საჯარო უწყებებს გააჩნდათ; ამასთანავე, რეკომენდაციის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სახალხო დამცველს მიენიჭა უფლებამოსილება, კერძო სამართლის იურიდიული პირის წინააღმდეგ სასამართლოში იდავოს; დისკრიმინაციის საქმეებზე სასამართლოსთვის მიმართვის ვადა 3 თვიდან 1 წლამდე გაიზარდა.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული ვიზიტები

პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018-2022 წლების ვიზიტები



სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2018-2022 წლების ვიზიტები



„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის აღსრულებისა და მონიტორინგის ფარგლებში ჩატარებული ვიზიტები (2018-2022)



გენდერის დეპარტამენტის 2018-2022 წლების ვიზიტები/მონიტორინგები



დამატებით აღსანიშნავია სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებული დეტალები. საგულისხმოა, რომ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, 25 მუნიციპალიტეტში ადგილზე შემოწმდა 59 უფასო სასადილო, აქედან 32 უფასო სასადილო თბილისში და 27 სასადილო 24 მუნიციპალიტეტში.

2019 წლის სექტემბერ-ნოემბერში შემოწმდა ქვეყნის 16 მუნიციპალიტეტის 70 სოფლის ამბულატორია, ხოლო 2022 წელს - საქართველოს 16 მუნიციპალიტეტის 51 სოფლის ამბულატორია.

დამატებით აღსანიშნავია, რომ 2020 წელს 3, 2021 წელს 4, ხოლო 2022 წლის იანვარსა და მარტში საქართველოს 7 მუნიციპალიტეტში მოქმედი 11 სოციალური საცხოვრისის/უსახლკაროთა თავშესაფრის მონიტორინგი განხორციელდა.



ბავშვის უფლებათა დეპარტამენტის საქმიანობის მიმართულებით: 2018 წელს განხორციელდა 20 ვიზიტი პენიტენციურ დაწესებულებებში, ვიზიტები ასევე განხორციელდა 43 მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში, შემოწმდა მინდობა-რეინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში ჩართული 150 ოჯახი, ვიზიტები განხორციელდა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ 41 სამხარეო და რაიონულ განყოფილებაში. დამატებით, მონიტორინგი/შემოწმება განხორციელდა 180 საჯარო სკოლაში. რაც შეეხება 2019 წელს, ბავშვის უფლებათა დაცვის საკითხებზე მონიტორინგი ჩატარდა: 46 მუნიციპალიტეტის 143 ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, საბავშვო ბაღების 46 გაერთიანებაში, მინდობით აღზრდის 4 ოჯახში, 14 საჯარო სკოლაში, სოციალური მომსახურების 6 ცენტრში. 2020 წელს განხორციელდა 6 ვიზიტი პენიტენციურ დაწესებულებებში, 2 ვიზიტი - ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების თავშესაფარში, ასევე, 4 სკოლა პანსიონში, 4 მცირე საოჯახო ტიპის სახლში და 2 მინდობით აღზრდის ოჯახში. 2021 წელს, ვიზიტები განხორციელდა 3 ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებაში, 26 სკოლაში, განათლების სამინისტროს დაქვემდებარებულ 12 სკოლა-პანსიონში, 20 მცირე საოჯახო ტიპის სახლში, 6 მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრში და თავშესაფარში, ძალადობის მსხვერპლთა 5 თავშესაფარში, დედათა და ბავშვთა 5 თავშესაფარში, 1 სოციალურ საცხოვრისში, 1 მცირე საოჯახო ტიპის სახლში, 2 დიდ რეზიდენტულ დაწესებულებაში. მონიტორინგი/ვიზიტი ასევე განხორციელდა კოჯრის შშმ ბავშვთა სახლში, ოცდაოთხსაათიან თავშესაფარში, მარტყოფის თავშესაფრის მაძიებელთა ცენტრში. ამასთან, სახალხო დამცველის რწმუნებულები, ფსიქოლოგთან ერთად, შეხვდნენ და გაესაუბრნენ ნინოწმინდის პანსიონის 30-მდე ყოფილ აღსაზრდელს. რაც შეეხება 2022 წელს (1 ოქტომბრის მდგომარეობით), მონიტორინგი განხორციელდა 3 საჯარო სკოლაში, 2 ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში, შეზღუდულ შესაძლებლობის მქონე პირთა 1 სათემო თავშესაფარში, 19 მცირე საოჯახო ტიპის სახლში, დიდი ზომის ბავშვთა რეზიდენტულ 2 დაწესებულებაში, ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ინტეგრირებული მომსახურების დაწესებულებაში, 2 პენიტენციური დაწესებულებაში, დედათა და ბავშვთა 2 თავშესაფარში (ერთში ორჯერ).

თანასწორობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული შეხვედრები



აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამმართველოების მიერ ჩატარებული შეხვედრები



2018-2022 წლებში განხორციელებული საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მონიტორინგები



დამატებით საგულისხმოა, რომ კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვის მიზნით, სახალხო დამცველის წარმომადგენლები რეგულარულ მონიტორინგს აწარმოებდნენ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში. 2018-2022 წლების განმავლობაში განხორციელდა 300-მდე მონიტორინგი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ პანდემიის პერიოდში 2020-2022 წლებში სახალხო დამცველის რწმუნებული მდინარე ენგურის ხიდზე პერსონალურად გაესაუბრა 2000-ზე მეტ ადამიანს, რომლებიც

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოდიოდნენ. აღნიშნულის მიზანს პანდემიის დროს არსებული და ასევე პოსტ კოვიდური სიტუაციის გარკვევა, ვაქცინაციასთან დაკავშირებული განწყობებისა და პრობლემური საკითხების გამოკვეთა წარმოადგენდა.

სახალხო დამცველის წევრობა საერთაშორისო ორგანიზაციებში

საქართველოს სახალხო დამცველი არაერთი ომბუდსმენის/ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის საერთაშორისო თუ რეგიონული გაერთიანების/ქსელის წევრია, როგორებიცაა: ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსი (GANHRI), ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელი (ENNHRI), ბავშვთა ომბუდსმენების ევროპული ქსელი (ENOC), ომბუდსმენის საერთაშორისო ინსტიტუტი (IOI), ხმელთაშუა ზღვის ომბუდსმენთა ასოციაცია (AOM), აზიის ომბუდსმენის ასოციაცია (AOA), თანასწორობის ორგანოების ევროპული ქსელი (Equinet). გარდა ამისა, სახალხო დამცველი არის შეიარაღებული ძალების ომბუდსმენთა საერთაშორისო კონფერენციის (ICOAF) მონაწილე ინსტიტუტებს შორის და აღნიშნულ ღონისძიებაში სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი ყოველწლიურად იღებს მონაწილეობას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტს - მინიჭებული აქვს „A“ სტატუსი, რაც გაეროს პარიზის პრინციპებთან საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტის სრულ შესაბამისობას გულისხმობს. შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების მუშაობაში საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე ხმის მიცემის უფლებით, დაიკავოს პოზიცია ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალურ ალიანსში/ქვეკომიტეტებში და მიიღოს მონაწილეობა გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს სესიებში. ეს სტატუსი სახალხო დამცველის აპარატს ბოლოს მიენიჭა 2018 წელს.

სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად მონაწილეობდა და ამავდროულად წარმატებული იყო ომბუდსმენების/ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების რეგიონული თუ საერთაშორისო ქსელების საქმიანობაში. საქართველოს სახალხო დამცველი, გერმანიის, ფინეთის და ხორვატიის ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებთან ერთად, 2016-2019 წლებში ასრულებდა ევროპის რეგიონის წარმომადგენლის ფუნქციას GANHRI-ის მმართველ ბიუროში; 2016 – 2019 წლებში საქართველოს სახალხო დამცველი ახორციელებდა ENNHRI-ის მმართველი ორგანოს, ევროპული საკოორდინაციო

კომიტეტის წევრის უფლებამოსილებებს და ხელმძღვანელობდა ENNHRI-ის ფინანსურ კომიტეტს (2019 წლის მარტამდე). ასევე საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველი არის ENNHRI-ის შშმ პირთა უფლებების სამუშაო ჯგუფის და ასევე, ხანდაზმულთა უფლებების სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. ეს უკანასკნელი სამუშაო ჯგუფი ENNHRI-ის ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველის ინიციატივით შეიქმნა. დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველი 2018 წლიდან არის GANHRI-ს ხანდაზმულთა უფლებების სამუშაო ჯგუფის წევრი და ამ ჯგუფის წევრი ევროპის რეგიონიდან მხოლოდ საქართველოს სახალხო დამცველი და პოლონეთის ომბუდსმენის ოფისია. ამასთან, 2019 წლის ნოემბერში სახალხო დამცველი აირჩიეს IOI-ს ევროპის რეგიონის დირექტორთა საბჭოს წევრად 4 წლის ვადით.

ზემოაღნიშნულის გარდა, ასევე საგულისხმოა, რომ დღეის მდგომარეობით, 2018 წლიდან საქართველოს სახალხო დამცველი ბავშვთა ომბუდსმენების ევროპული ქსელის (ENOC)-ის წევრია. ინსტიტუტმა ორგანიზაციასთან თანამშრომლობა 2001 წელს დაიწყო. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ზედიზედ უკვე მეორედ აირჩიეს ევროპის ბავშვთა ომბუდსმენთა ქსელის (ENOC) ბიუროს წევრად. გარდა ამისა, ასევე აღსანიშნავია, რომ 2022 წლის 20 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის (დეპარტამენტის) უფროსი გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის ქვეკომიტეტის (SPT) წევრად განმეორებით აირჩიეს. პირველად პრევენციის ეროვნული მექანიზმის (დეპარტამენტის) უფროსი ქვეკომიტეტის წევრად 2018 წელს აირჩიეს.

საგულისხმოა, რომ 2021 წელს სახალხო დამცველის მიმართ პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან განხორციელებული სიტყვიერი თავდასხმების შემდეგ თანასწორობის ორგანოების ევროპულმა ქსელმა (Equinet), ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპულმა ქსელმა (ENHRI), ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალურმა ალიანსმა (GANHRI) და ომბუდსმენის საერთაშორისო ინსტიტუტმა (IOI) ერთობლივი განცხადებით დაგმეს სახალხო დამცველის აპარატის დისკრედიტაციის მცდელობები, გამოხატეს სერიოზული წუხილი სახალხო დამცველის მიმართ განხორციელებული თავდასხმების გამო. ორგანიზაციებმა ხაზი გაუსვეს, რომ საქართველოს სახალხო დამცველი ამ ორგანიზაციების მნიშვნელოვანი და ფასეული წევრია და მოუწოდეს საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს, დაიცვან საერთაშორისო პრინციპები და უზრუნველყონ, რომ სახალხო დამცველი დაცული იყოს ნებისმიერი მუქარისა თუ სხვა ქმედებისგან, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ინსტიტუტის დამოუკიდებლობასა და ეფექტიანობაზე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატსა და ეუთოს დემოკრატიულ ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისს შორის არსებული აქტიური თანამშრომლობა. სახალხო დამცველის მოწვევითა და თხოვნით ეუთო/ოდირმა მოამზადა არაერთი სამართლებრივი დასკვნა საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტებთან მიმართებით. მათ შორის, უნდა აღინიშნოს, ორგანიზაციამ მოამზადა სამართლებრივი მოსაზრება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მომწესრიგებელ კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით; უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცედურის გაწერის მიზნით ინიციირებულ კანონპროექტზე. საგულისხმოა, რომ 2019 წელს ODIHR-მა საქართველოს სახალხო დამცველის თხოვნის საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ნახევრის წარდგენისა და დანიშვნის პროცესის მონიტორინგი განახორციელა. მონიტორინგის შედეგები ODIHR-მა ორ ანგარიშში წარმოადგინა. 2020 წლის ნოემბერში საქართველოს სახალხო დამცველმა ODIHR საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დარჩენილ ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატების წარდგენისა და დანიშვნის პროცესის მონიტორინგის გასაგრძელებლად მოიწვია. განხორციელებული მონიტორინგის საფუძველზე ODIHR-მა 2021 წელს გამოაქვეყნა მესამე ანგარიში, რომელშიც შეფასებული იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა შერჩევის პროცესის პირველი ფაზა, რომლის შედეგადაც დასახელდა ცხრა კანდიდატი პარლამენტის წინაშე წარსადგენად, ხოლო მოგვიანებით, 2021 წლის აგვისტოში, გამოქვეყნდა საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის მეოთხე ანგარიში.

სახალხო დამცველის აპარატის ორგანიზაციული სიახლეები

2018-2022 წლებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განხორციელდა შემდეგი ორგანიზაციული ცვლილებები:

- ჩამოყალიბდა ახალი სტრუქტურული ერთეული - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ღონისძიებების მართვის სამმართველო, რომლის ფუნქციებად განისაზღვრა ორი მიმართულება: საზოგადოებასთან ურთიერთობა და სახალხო დამცველის სახელით გამართული ღონისძიებების ორგანიზება.

- საერთაშორისო ურთიერთობების, პროექტების მართვისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის ნაცვლად შეიქმნა საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველო და ადამიანის უფლებათა სწავლების დეპარტამენტი.

- ადამიანის უფლებათა სწავლების დეპარტამენტი ჩამოყალიბდა სახალხო დამცველის აპარატში არსებული ადამიანის უფლებების აკადემიის ბაზაზე.

- განხორციელდა საქმისწარმოების დეპარტამენტის რეორგანიზაცია და შეიქმნა დასაშვებობისა და რეაგირების დეპარტამენტი და საქმისწარმოების სამმართველო. შედეგად, კანცელარიის ფუნქციების შესრულება დაეკისრა საქმისწარმოების სამმართველოს, ხოლო დასაშვებობის და რეაგირების დეპარტამენტს დაეკისრა შემოსული განცხადება/საჩივრების საქართველოს სახალხო დამცველის კომპეტენციასთან შესაბამისობის შემოწმება და დაემატა რეაგირების ფუნქცია - დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებული უფლებადარღვევის საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაციისა და საჭირო ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა უწყებებისა და დაწესებულებებიდან.

- ბავშვის უფლებათა ცენტრის (სამმართველო) რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა ბავშვის უფლებათა დეპარტამენტი.

- შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული ანალიტიკური დეპარტამენტი, რომლის შემადგენლობაში შევიდა მეორადი სტრუქტურული ერთეული - სტატისტიკის სამმართველო.

- შეიქმნა სტრატეგიული სამართალწარმოების სამმართველო, რომლის მთავარ მიზნად ჩამოყალიბდა საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული დავების წარმოების უფლებამოსილება საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე.

- განხორციელდა რეგიონული დეპარტამენტის რეორგანიზაცია და შეიქმნა ტერიტორიული ორგანოები - აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველო და დასავლეთ საქართველოს სამმართველო, რომელთა მთავარ ფუნქციად განისაზღვრა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევების პროაქტიული გამოვლენა. გაუქმდა იურიდიულ საკითხებში სახალხო დამცველის მრჩევლის შტატი და შეიქმნა სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო;

- გაერთიანდა სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო და ადამიანური რესურსებია მართვისა და განვითარების სამმართველო, რომლის შედეგად ჩამოყალიბდა სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი.

- მოქალაქეთა მისაღები (სამმართველო), რეორგანიზაციის შედეგად შეუერთდა საქმისწარმოების სამმართველოს და ჩამოყალიბდა მოქალაქეთა მომსახურების დეპარტამენტი.

- გაუქმდა თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი და თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის ფუნქციების ნაწილი (პრევენციული მონიტორინგის განხორციელებისა) დაემატა პრევენციის ეროვნულ მექანიზმს (დეპარტამენტი) შესაბამისი ადამიანური რესურსით, რადგან ამ სტრუქტურული ერთეულის ძირითადი საქმიანობა სწორედ პრევენციული ვიზიტების განხორციელებას გულისხმობდა.დასაშვებობისა და რეაგირების დეპარტამენტის ფუნქციები გადაეცა მოქალაქეთა მომსახურების დეპარტამენტს, რომელსაც ფუნქციების დამატების შედეგად შეეცვალა სახელი და ეწოდა მოქალაქეთა მომსახურებისა და პირველადი რეაგირების დეპარტამენტი.

- სრულად განახლდა სახალხო დამცველის აპარატის ოფიციალური ვებგვერდი. დამატებით, ოფიციალურ ვებგვერდს ხმოვანი ვერსია დაემატა. 2020 წლიდან ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული სიახლეები ითარგმნება სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

დამატებით ასევე საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის აპარატმა გააუმჯობესა პატიმართა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხისა და ადეკვატურობის მონიტორინგის მექანიზმი. ამ მიზნით 2021 წლის მარტიდან სახალხო დამცველის აპარატში დასაქმდა ექიმი, მედიცინის დოქტორი, რომელიც აქტიურადაა ჩართული პატიმართა სამედიცინო საკითხების შესწავლის პროცესში.

ასევე საგულისხმოა, რომ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ მხარდაჭერილი რეფორმის შედეგად გაუმჯობესდა მოქალაქეთა მომსახურებისა და პირველადი რეაგირების დეპარტამენტის კომუნიკაცია მოქალაქეებთან - შემუშავდა და დაინერგა საქმის წარმოების ერთიანი წესები და სტანდარტი, ასევე სახელმძღვანელო - მოქალაქეებთან ეფექტიანი კომუნიკაციისთვის; გაიზარდა სახალხო დამცველის აპარატის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, დროის ეფექტური მართვისა და კომუნიკაციის სტანდარტებში თანამშრომლების გადამზადებით. დაინერგა მოქალაქეებთან კომუნიკაციის ერთიანი პროტოკოლი. შესაძლებელი გახდა მოქალაქეებს მომსახურება გაეწიოთ დაჩქარებულ დროში, როგორც ადგილზე ვიზიტისას, ისე დისტანციური მომსახურების გაწევის დროს.

მაგალითისთვის, რეფორმის განხორციელებამდე ერთი ოპერატორის მიერ მოქალაქისთვის დისტანციური მომსახურების გაწევისას დახარჯული დრო საშუალოდ 45 წუთს შეადგენდა. დღეს ეს დრო შემცირებულია 7 წუთამდე. შეიცვალა და დაინერგა აპარატში საქმეთა განაწილებისა და მათზე რეაგირების წესები. მოქალაქეები მიმართვებზე პირველად პასუხებს, ნაცვლად 5 დღისა, 2 სამუშაო დღეში იღებენ. შემუშავდა სტანდარტულ შემთხვევებზე პირველადი რეაგირების შაბლონები. მომსახურების ახალი სტანდარტების დაწესებამ, ოპერატორებს რამდენიმე ზარის ერთდროულად მართვის საშუალება მისცა.

სახალხო დამცველის აპარატში საქმისწარმოების წესის განახლების შედეგად შეიქმნა 3 ახალი დოკუმენტი: სახალხო დამცველის აპარატის საქმეთა განხილვის წესი; სახალხო დამცველის აპარატში საქმეთა განაწილების წესი; სახალხო დამცველის აპარატის დოკუმენტბრუნვის წესი. ასევე, 2018-2022 წლებში სახალხო დამცველის აპარატში მომზადდა/შეიქმნა სხვა არაერთი მნიშვნელოვანი შიდა დოკუმენტი, როგორიცაა: სახალხო დამცველის აპარატში თამბაქოს მოხმარების წესი; სახალხო დამცველის აპარატში სახელმწიფო სიმბოლიკის (სახელმწიფო დროშა, გერბი) და საქმისწარმოებისათვის საჭირო გერბიანი ბლანკების, ბეჭდებისა და შტამპების გამოყენების წესი; სახალხო დამცველის ავტოპარკის განაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი მანქანების შესყიდვისა და გამოყენების წესი; სახალხო დამცველის აპარატის 2019-2021 წლების სტრატეგიული ამოცანებისა და ორგანიზაციული განვითარების გეგმა; სახალხო დამცველის აპარატში ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/

უქმე დღეს ან ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების წესი; სახალხო დამცველის აპარატის „მწვანე პოლიტიკის“ დოკუმენტი; პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში დაუყოვნებლივ ადგილზე ვიზიტისა და ფაქტის დოკუმენტირების სახელმძღვანელო წესები; სახალხო დამცველის აპარატში ვიდეო თვალთვალის განხორციელების წესი; საჯარო ინფორმაციის გაცემის, პროაქტიულად გამოქვეყნებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი; აპარატში დასაქმებული პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესი; აპარატის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და დებულება; აპარატში რისკებისა და საფრთხეების შეფასების მეთოდოლოგია; სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის სავარაუდო დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესი; აპარატის თანამშრომელთა მიმართ/წინააღმდეგ დაინტერესებულ პირთა საჩივრის განხილვის წესი; აპარატში დისტანციური მომსახურების გაწევის ხარისხის სტანდარტი; ცხელი ხაზის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტის წესი; ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციური (COVID-19) დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა (საგანგებო სიტუაციების გეგმა) და სხვ.

2018-2022 წლებში სახალხო დამცველის აპარატში განახლდა შემდეგი დოკუმენტები: სახალხო დამცველის აპარატის დებულება; აპარატის შინაგანაწესი; სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებაში ფოტოგადაღების წესი; სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის სავარაუდო დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესი; სახალხო დამცველის აპარატში სტაჟირების გავლის წესი.

ზემოაღნიშნულის გარდა, ასევე საგულისხმოა სახალხო დამცველის აპარატის IT ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული სიახლეები. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ძირითადი IT ინფრასტრუქტურა ბოლოს 2006 წელს განახლდა. მას შემდეგ ეტაპობრივად (ფინანსური რესურსების არსებობის ან მოპოვების შემთხვევაში) ახლდებოდა კომპიუტერული ტექნიკა (პორტატიული კომპიუტერები). IT ინფრასტრუქტურის შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით დაიგეგმა IT ინფრასტრუქტურის მთლიანი განახლება და გარკვეული რაოდენობის პორტატიული კომპიუტერების ჩანაცვლების საკითხი. როგორც IT ინფრასტრუქტურის ექსპერტიზის ასევე ტექნიკურად განახლების ნაწილში დიდი წვლილი მიუძღვით დონორ ორგანიზაციებს, თუმცა, ნაწილი (Microsoft Office 365 ლიცენზიები) დაფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. განხორციელდა Microsoft Office 365-ის აპარატის თანამშრომლების კომპიუტერებზე ინსტალაცია. ასევე საგულისხმოა, რომ სრულად განახლდა Ombudsman მეილ სერვისი. IT ინფრასტრუქტურის ნაწილში საბოლოო მიღება განხორციელდება 2022 წლის დეკემბრის თვეში. ასევე აღსანიშნავია, რომ შემუშავდა და დამტკიცდა „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციული სისტემებისა და ინფორმაციული აქტივების პოლიტიკა.“ ამ ეტაპზე მიმდინარეობს აღნიშნულის დანერგვა.დამატებით ასევე ნიშანდობლივია სახალხო დამცველის აპარატის ცენტრალურ ოფისთან დაკავშირებული საკითხები. სახალხო დამცველის აპარატის სარგებლობაშია შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 1352 კვ.მ და მასზე დამაგრებული 444 კვ,მ მიწის ნაკვეთი (მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის I ჩიხი, N6-ში (ს/კ 01.14.14.012.006)). ვინაიდან აღნიშნული შენობა-ნაგებობა ავარიულ მდგომარეობაშია, სახალხო დამცველის აპარატი 2018 წლის ივლისის თვიდან საქმიანობას აგრძელებს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებულ შენობაში. პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს სახალხო დამცველის აპარატის ცენტრალური ოფისის მშენებლობა შემდეგ მისამართზე: ქ თბილისი ფაღავას #6. სახალხო დამცველის აპარატს, მიწის ნაკვეთი, სახელმწიფოს მიერ, ცენტრალური ოფისის მშენებლობისთვის გადაეცა 2019 წელს. მშენებლობის პროცედურების დაცვით, პირველ ეტაპზე (ელექტრონული ტენდერის საშუალებით) შესყიდულ იქნა საპროექტო მომსახურება, ხოლო შემდგომ სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადდა ტენდერი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები და მომწოდებელ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად მშენებლობის დასრულება გათვალისწინებულია 2023 წლის მეორე ნახევარში.

სახალხო დამცველის აპარატის ახალი შენობის პროექტი

სახალხო დამცველის აპარატის ოფისები და საკონსულტაციო საბჭოები

სახალხო დამცველის აპარატი ფუნქციონირებს ათი ოფისის საშუალებით, აქედან ერთი მდებარეობს თბილისში, ხოლო 9 - რეგიონული ოფისია.



აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატის ფარგლებში მოქმედებს 2 საკონსულტაციო საბჭო, მათ შორის:

- **პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭო** - წარმოადგენს პრევენციის ეროვნული მექანიზმის სათათბირო ორგანოს. საბჭოს შემადგენლობაში შედიან როგორც სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები, ასევე, წამების პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და აკადემიურ/საგანმანათლებლო სფეროდან მოწვეული წევრები.

- **შშმ პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭო** - წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის სტრატეგიის და პრიორიტეტების განმსაზღვრელ სათათბირო ორგანოს, რომელის შემადგენლობაში, საქართველოს სახალხო დამცველთან ერთად, შედიან სახალხო დამცველის აპარატის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ზემოაღნიშნულის გარდა, საგულისხმოა, რომ 2005 წლიდან არსებობს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, რომელიც აქტიურად მუშაობს საქართველოში ტოლერანტობის კულტურის განვითარებისა და თანასწორუფლებიანი გარემოს ჩამოყალიბებისთვის. ცენტრის ერთ-ერთი მთავარი საქმიანობაა სახალხო დამცველთან არსებული რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების საბჭოების კოორდინირება.

სახალხო დამცველის აპარატისთვის მიმართვის გზები

ადამიანის უფლებების სავარაუდო დარღვევის შესახებ სახალხო დამცველი ინფორმაციას იღებს:

- სახალხო დამცველის ოფისებში ადგილზე ვიზიტით;
- ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;
- სოციალური ქსელით;
- საქალაქო ნომრებით;
- ცხელ ხაზზე შემოსული შეტყობინებით;
- სახალხო დამცველის აპარატის ვებგვერდზე განთავსებული საკომუნიკაციო არხებით: ვებ-ზარი, ონლაინ ჩატი, ვაიბერი.

სახალხო დამცველის აპარატში 2018-2022 წლებში დარეგისტრირებული განცხადებები და ოქმები



სახალხო დამცველის ცხელი ხაზი 1481

სახალხო დამცველის ცხელ ხაზზე შემოსული შეტყობინებები



სახალხო დამცველის აპარატის მიერ მომზადებული ინდივიდუალური რეკომენდაციები/წინადადებები

ინდივიდუალური რეკომენდაციები/წინადადებები (2018-2022)



ჯამში 2018-2022 წლის ოქტომბრის მდგომარეობით წლებში სახალხო დამცველის აპარატის მიერ მომზადდა და გაიგზავნა 409 ინდივიდუალური რეკომენდაცია/წინადადება. მათგან ყველაზე მეტი გაიგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში (34), საქართველოს გენერალურ პროკურატურაში (32), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში (32) და საქართველოს პარლამენტში (29).

ინდივიდუალური რეკომენდაციების/წინადადებების შესრულების მდგომარეობა წლების მიხედვით (2018-2022)



სტატისტიკური მონაცემების ანალიზის მიხედვით, ირკვევა, რომ **2019 წელს 2018 წელთან შედარებით გაიზარდა სახალხო დამცველის რეკომენდაცია/წინადადებების შეუსრულებლობის მაჩვენებელი.** კერძოდ, 90%-ით გაიზარდა რეკომენდაციების/წინადადებების რაოდენობა, რომლებიც არ შესრულებულა და 67%-ით შემცირდა იმ რეკომენდაციების/წინადადებების რაოდენობა, რომლებიც შესრულდა.

2020 წელს 2019 წელთან შედარებით შესრულებული ინდივიდუალური რეკომენდაციების/წინადადებების რაოდენობა 50%-ით გაიზარდა. 30%-ით შემცირდა იმ ინდივიდუალური რეკომენდაციების/წინადადებების მაჩვენებელი, რომლებიც არ შესრულდა და გაიზარდა ნაწილობრივ შესრულებული რეკომენდაციების პროცენტული მაჩვენებელი.

რაც შეეხება 2021 წლის მონაცემებს, აღსანიშნავია, რომ, 2020 წელთან შედარებით, 2021 წელს 47%-ით შემცირდა შესრულებული ინდივიდუალური რეკომენდაციების/წინადადებების რაოდენობა, 30%-ით, შემცირდა ნაწილობრივ შესრულებული და 25%-ით შემცირდა შეუსრულებელი რეკომენდაციების რაოდენობაც.

2022 წელთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ მონაცემები მოცემულია 31 ოქტომბრის ჩათვლით. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ცალკეულ რეკომენდაციებთან/წინადადებებთან მიმართებით უწყებებს მიმდინარედ აქვთ შესრულების ვადა, გაცემული 53 ინდივიდუალური რეკომენდაციიდან/წინადადებიდან მხოლოდ 44-ის შესრულების მდგომარეობაა მიმდინარედ შესაძლებელი, რომელთაგან 2-ზეც უწყებებს წარმოდგენილი აქვთ შუალედური პასუხი.

ანგარიშვალდებულება - სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშები

2018-2022 წლებში სახალხო დამცველი ყოველწლიურად წარადგენდა ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშებს. კერძოდ, დასახელებულ წლებში სახალხო დამცველმა წარმოადგინა 2017, 2018, 2019, 2020 და 2021 წლების საპარლამენტო ანგარიშები. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის საპარლამენტო ანგარიშში პირველად გაჩნდა საქართველოს სახალხო დამცველის წინა წლის საპარლამენტო ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის თავი. მანამდე ეს საკითხი შესაბამის თემატურ ნაწილებში იყო დაფარული. აღნიშნული ტრადიციად დამკვიდრდა, შესაბამისად, სახალხო დამცველის მიერ მომდევნო წლებში წარდგენილი თითოეული საპარლამენტო ანგარიში მოიცავს აღნიშნულ თავს. გარდა ამისა, ასევე საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშმა საფუძველი ჩაუყარა ყოველწლიურად ცალკე თავის მიძღვნას უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის საკითხებისადმი. ამავე წლის საპარლამენტო ანგარიშს დაემატა ახალი თავები: „მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებრივი მდგომარეობა“ და „უფლებადამცველები“.

საპარლამენტო ანგარიშებში მოცემული რეკომენდაციები/წინადადებები



საპარლამენტო ანგარიშებში მოცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა



საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშის საფუძველზე, იღებს დადგენილებას. აღნიშნული აქტით პარლამენტი აფასებს საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ და სახალხო დამცველის ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესასრულებლად დავალებებს აძლევს სახელმწიფო უწყებებს. **2019 წელს სახალხო დამცველის აპარატმა პირველად მოამზადა სპეციალური ანგარიში, რომლითაც შეაფასა დადგენილებით სახელმწიფო უწყებებისთვის პარლამენტის მიერ მიცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა. მას შემდეგ აღნიშნული სპეციალური ანგარიშები ყოველწლიურად მზადდება. სამწუხაროდ, სახელმწიფო უწყებების მიმართ პარლამენტის მიერ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა თითოეულ წელს არადამაკმაყოფილებლად ფასდება.**

მისასალმებელია, რომ პარლამენტის მიერ დადგენილებაში სახალხო დამცველის რეკომენდაციების გაზიარების მაჩვენებლები წლიდან წლამდე მატულობს. კერძოდ, პარლამენტმა დადგენილებაში სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშის რეკომენდაციების დაახლოებით 78% გაიზიარა; 2019 წლის ანგარიშის რეკომენდაციების დაახლოებით 78,5 %, ხოლო სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშის რეკომენდაციების დაახლოებით 82% გაიზიარა.

ქვემოთ ორ სურათში წარმოდგენილია სახალხო დამცველის 2018-2020 წლების საპარლამენტო ანგარიშების რეკომენდაციების შესასრულებლად პარლამენტის მიერ სახელმწიფო უწყებებისადმი გაცემული დავალებების რაოდენობრივი მაჩვენებლები და მათი შესრულების შეფასება.

საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალებები



საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა



სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელები

2018-2022 წლებში სახალხო დამცველი განსაკუთრებით აქტიურად იყენებდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელების წარდგენის უფლებამოსილებას. 2018 წლიდან 2022 წლის ჩათვლით (2022 წლის ოქტომბრის თვის მდგომარეობით) საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ჯამში 50 კონსტიტუციური სარჩელი წარადგინა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. სარჩელების ეს რაოდენობა აღემატება 1996-2017 წლებში, საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტის განმავლობაში არსებულ სარჩელთა საერთო რაოდენობას.

სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელები



2018 წელს წარდგენილი ორი კონსტიტუციური სარჩელი შეეხებოდა:

- საპროტესტო აქციებზე კარვების გამოყენების შეზღუდვის კონსტიტუციურობას;
- ომის ვეტერანთა საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნის წესის კონსტიტუციურობას (დისკრიმინაციას).

2019 წელს წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელები კი შეეხებოდა:

- არჩევნების კონსტიტუციურობის გასაჩივრებასთან დაკავშირებული შეზღუდვის კონსტიტუციურობას - საგულისხმოა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა სახალხო დამცველის პირველ ორგანოთა შორის კონსტიტუციური დავის შესახებ სარჩელს;
- საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში დასაქმებულთა უკანონოდ გათავისუფლების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების წესის კონსტიტუციურობას;
- პენიტენციური დაწესებულებებიდან სახალხო დამცველის ცხელ ხაზზე წვდომის შეზღუდვის კონსტიტუციურობას;
- უზენაესი სასამართლოს წევრთა არჩევის წესის კონსტიტუციურობას (2 სარჩელი);
- პატიმრის მიერ ოფიციალური დოკუმენტების ფლობის რაოდენობითი შეზღუდვის კონსტიტუციურობას.

2020 წელს წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელები ეხებოდა შემდეგ თემებს:

- სამოქალაქო სამართალწარმოებაში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სამართალწარმოების განახლების წესის კონსტიტუციურობას;
- ნივთმტკიცებად ამოღებული სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრისთვის დაბრუნების წესის კონსტიტუციურობას;
- თვითინკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის დარღვევას;
- შშმ პირთა პარკირების წესის კონსტიტუციურობას.

2021 წელს წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელები შეეხებოდა:

- ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებულთა აქციებსა და დემონსტრაციებში მონაწილეობის უფლების შეზღუდვას;
- პატიმრობაში მყოფი ბრალდებულის ხანგრძლივი და ვიდეო-პაემნით სარგებლობის უფლების შეზღუდვას;
- განსაკუთრებული რისკის პატიმართა ვიდეო-პაემნით სარგებლობის უფლების ბლანკეტური შეზღუდვის კონსტიტუციურობას;
- საჯარო სამსახურში დასაქმებულ შშმ პირთა სოციალური პაკეტით სარგებლობის უფლების შეზღუდვას;

- პენიტენციურ დაწესებულებაში დასაქმებულთა ასაკობრივი შეზღუდვის კონსტიტუციურობას;
- მემკვიდრეობის უფლებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა მოქალაქეობის ნიშნით;
- მოქალაქეობის მინიჭებაზე უარის გასაჩივრების აკრძალვის კონსტიტუციურობას;
- ცნობების შეგროვებისა და ვიზუალური კონტროლის განხორციელების წესის კონსტიტუციურობას;
- საპატრიარქოსთვის ტყეების გადაცემის კონსტიტუციურობას;
- საკონტროლო შესყიდვისა და კონტროლირებადი მიწოდების წესის კონსტიტუციურობას;
- პატიმრების დისციპლინური სანქციის სახით ოჯახთან კომუნიკაციის უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურობას;
- პატიმრობა-შეფარდებული პატიმრის ხანმოკლე პაემნით სარგებლობის უფლების შეზღუდვას გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების საფუძველზე;
- ქვეყანაში უკანონოდ შემოსული თავშესაფრის მაძიებლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კონსტიტუციურობას;
- თავშესაფრის მაძიებლებისათვის სამგზავრო დოკუმენტის ჩამორთმევის კონსტიტუციურობას;
- სპონტანური აქციების ჩატარების შეზღუდვის კონსტიტუციურობას;
- პატიმრის ე.წ. „დეესკალაციის ოთახში“ მოთავსების წესის კონსტიტუციურობას;
- უსახლკაროთა რეგისტრაციის წესის კონსტიტუციურობას.

2022 წელს წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელები შეეხება:

- პატიმრის ერთადგილიან საკანში მოთავსების წესის კონსტიტუციურობას;
- ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტთა უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობას;
- ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტთა მიმართ ე.წ. „ქიმიური შეზღუდვის“ გამოყენების წესის კონსტიტუციურობას;
- შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის წესის დისკრიმინაციულობას;
- პატიმრის პენსიას;
- სახელმწიფო ინსპექტორის ინსტიტუტის გაუქმების კონსტიტუციურობას;
- სტატუსის ან მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირთა C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამით სარგებლობის უფლების შეზღუდვას;
- მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის რიგი საფუძვლების კონსტიტუციურობას;
- გაუპატიურების მსხვერპლი ქალების აბორტის უფლების შეზღუდვას;
- კერძო სექტორში დასაქმებულ ქალთა დეკრეტული შვებულების ანაზღაურების წესის კონსტიტუციურობას;

- შშმ პირთა მიმართ სოციალური პაკეტით და პენსიით ერთობლივად სარგებლობის უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურობას;
- ბათუმში მშენებლობის წესის კონსტიტუციურობას;
- მამაკაც მსჯავრდებულთა და ქალ ბრალდებულთა საოჯახო პაემნით სარგებლობის უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურობას;
- მარჩენალდაკარგულ შშმ პირთა შეზღუდვა ერთობლივად ისარგებლონ როგორც მარჩენალდაკარგულის დახმარებით, ისე შშმ პირთა სოციალური პაკეტით.
- დევნილთა მუდმივი საცხოვრებლით უზრუნველყოფისას გადაცემული საკუთრების 3 წლიანი გასხვისების უფლების შეზღუდვა;
- მაუწყებლის მიერ არაწინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის განთავსების აკრძალვა;
- პატრულ-პოლიციელების მიერ სამხრე-ვიდეოკამერების გამოყენების ვალდებულების არარსებობის კონსტიტუციურობა;
- შშმ სტატუსის მქონე ვეტერანების შეზღუდვა, ისარგებლონ ერთდროულად საყოფაცხოვრებო სუბსიდიით ან სოციალური პაკეტით;
- საექსტრადიციო პატიმრობის 9 თვიანი ვადის თავსებადობა საქართველოს კონსტიტუციასთან.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ მომზადებული სასამართლო მეგობრის მოსაზრებები



სახალხო დამცველის აპარატი, საჭიროების შემთხვევაში, აქტიურად იყენებს სასამართლო მეგობრის მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობას. 2018-2022 წლებში თითოეულ წელს სახალხო დამცველის აპარატმა მინიმუმ 11 სასამართლო მეგობრის მოსაზრება წარადგინა.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ მომზადებული დოკუმენტები სხვადასხვა საკითხს აერთიანებდა. მათ შორის, უნდა აღინიშნოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2021 წელს ე.წ. კარტოგრაფების საქმეზე წარდგენილი სასამართლო მეგობრის მოსაზრება. აღნიშნული წარმოადგენს პირველ პრეცედენტს, როდესაც სახალხო დამცველმა სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში პოლიტიკურ მოტივზე მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლის ჭრილში.

ზემოაღნიშნულის გარდა, ასევე საგულისხმოა 2022 წელს პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხზე სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი პრეცედენტული მნიშვნელობის სასამართლო მეგობრის მოსაზრებაც. კერძოდ, სახალხო დამცველმა თავისი ექსპერტული მოსაზრებით სასამართლოს დახმარება სცადა, ადგილობრივი საბჭოების ფუნქციისა და მანდატის შეფასების საკითხში.

სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად წარადგენდა სასამართლო მეგობრის მოსაზრებებს ნეიტრალური მტკიცებულებების საკითხთან მიმართებით. კერძოდ, ამ მიმართულებით ათამდე სასამართლო მეგობრის მოსაზრებაა წარდგენილი, სადაც სახალხო დამცველი სასამართლოებს მოუწოდებს, რომ ჩხრეკა-ამოღების პროცესის კანონიერება მხოლოდ სამართალდამცავი პირების ჩვენებებზე დაყრდნობით არ უნდა ფასდებოდეს და რომ აუცილებელია საგამოძიებო უწყებამ პირის მფლობელობაში უკანონო ნივთის/ნივთიერების არსებობის ფაქტი ნეიტრალური მტკიცებულებებითაც დაადასტუროს.

მნიშვნელოვან პრეცედენტს წარმოადგენდა ასევე 2021 წელს სახალხო დამცველის აპარატის მიერ უცხო ქვეყნის სასამართლოსთვის მიმართვა. სახალხო დამცველმა უცხო ქვეყნის სასამართლოს საქართველოს მოქალაქის უფლებების დაცვის მიზნით მიმართა. ქალი უნდა გადაეცათ ბელარუსიდან ლიბანში, მისი ექსტრადიციის საკითხი მინსკის საქალაქო სასამართლოში განიხილებოდა.

აღნიშვნას იმსახურებს ასევე 2019 წელს სახალხო დამცველის მიერ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი სასამართლო მეგობრის მოსაზრება, სადაც მიმოხილულია თუ რატომ ვერ უზრუნველყოფს დღეს მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი დაკავებულთათვის სათანადო სამართლიანი სასამართლოს საპროცესო გარანტიებს.

ასევე აღნიშვნას იმსახურებს საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარდგენილი სახალხო დამცველის სასამართლო მეგობრის მოსაზრება, რომელიც უფლებადამცველებს ეხება. დავის ფარგლებში მოთხოვნილი იყო ორგანიზაციის-ა(ა)იპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში ასახული მიგნებების ცილისმწამებლურად, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავად აღიარება. ვინაიდან მოცემულ საქმეზე მიღებულმა საბოლოო გადაწყვეტილებამ, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ეროვნულ დონეზე უფლებადამცველთა მხრიდან მათთვის მინიჭებული უფლებებით სარგებლობასა და საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებაზე.

ზემოაღნიშნულის გარდა, ასევე საგულისხმოა სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი სხვა არაერთი სასამართლო მეგობრის მოსაზრებაც. მათ შორის, აღსანიშნავია, 2022 წელს ჰაერის დაბინძურებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული მოსაზრება, ვინაიდან ამ მიმართულებით პრაქტიკა ჩამოყალიბებული არ არის და სასამართლო გადაწყვეტილება, თავის მხრივ, პრეცედენტული იქნება. ასევე აღსანიშნავია ა(ა)იპ „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ საქმეზე წარდგენილი სასამართლო მეგობრის მოსაზრებაც, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ მომსახურებასა და სერვისზე წვდომის ნაწილში თანასწორობის პრინციპის დაცვას შეეხება, რომელიც აქამდე სასამართლოს მხრიდან განმარტებული არ ყოფილა. კერძოდ, საქმე შეეხებოდა პირისათვის საქონელსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობისა და უზრუნველყოფის უფლების შეზღუდვას სექსუალური ორიენტაციის მოტივით. ასევე საგულისხმოა ვიტალი საფაროვის

საქმეზე წარდგენილი სასამართლო მეგობრის მოსაზრებაც, ვინაიდან აღნიშნული მოიცავს მსჯელობას სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შემთხვევაში სიძულვილის მოტივის ინდიკატორების გამოკვეთაზე და ამ უკანასკნელის მნიშვნელობაზე.

მესამე მხარის (სასამართლო მეგობრის) ინტერვენციები ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებებით ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოსაც მიმართა. კერძოდ, გაიგზავნა 8 საქმეში მესამე მხარედ ჩართვის მოთხოვნა, აქედან სასამართლოს მეგობრის მოსაზრების წარდგენის უფლება სახალხო დამცველის აპარატს შემდეგ საქმეზე მიეცა:

1) შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2 და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

საქმე ეხებოდა „რუსთავი 2"-ის საკუთრების დავასთან დაკავშირებით გამართულ სასამართლო პროცესებსა და „რუსთავი 2"-ის წინააღმდეგ სახელმწიფოს მიერ სავარაუდოდ განხორციელებულ ქმედებებს. ევროპულ სასამართლოში წარდგენილ სასამართლო მეგობრის მოსაზრებებში სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა საქმის მნიშვნელობის, ასევე ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლებისა და სამართლიანი სასამართლოს კუთხით არსებულ მდგომარეობასა და გამოწვევებზე.

2) ღვინიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ

აღნიშნულ საქმეში მომჩივან ტრანსგენდერ მამაკაცს სახელმწიფო ორგანოებმა უარი უთხრეს საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში სასურველი გენდერის ჩაწერაზე, რადგან არ ჰქონდა წარდგენილი ანატომიური სქესის შეცვლის დამადასტურებელი საბუთი. სახალხო დამცველმა აღნიშნულ საქმეზე ევროსასამართლოს წარუდგინა ინფორმაცია საქართველოში ლგბტ+ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ და ასევე მიმოიხილა გენდერული იდენტობის ასახვის სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურის არარსებობით გამოწვეული პრობლემები.

3) გუდმუნდურ ანდრი ასტრადსონი ისლანდიის წინააღმდეგ

აღნიშნულ საქმეში მსჯელობის საგანი იყო საკითხი, შესაძლებელია თუ არა მომჩივანს დაერღვეს სამართლიანი სასამართლოს უფლება იმის გამო, რომ მისი საქმე განიხილა მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით თანამდებობაზე დანიშნულმა მოსამართლემ. ვინაიდან სასამართლოს მიერ ამ საქმის გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ მოცემული საქმის მხარეებისთვის, არამედ, ევროსაბჭოს სხვა წევრი სახელმწიფოებისთვისაც, განსაკუთრებით კი საქართველოსთვის. სახალხო დამცველმა წარადგინა სასამართლო მეგობრის მოსაზრება, სადაც საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის პროცესი მიმოიხილა და რიგ საერთაშორისო წყაროებსა და ევროპული სასამართლოს შესაბამის პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით. ევროსასამართლომ გაიზიარა საქართველოს სახალხო დამცველის მოსაზრება და სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის ტესტი უფრო გააფართოვა.

4) ბაქრაძე საქართველოს წინააღმდეგ

ამ საქმეში მომჩივნის მტკიცებით ის გახდა დისკრიმინაციის მსხვერპლი, ვინაიდან უარი ეთქვა მოსამართლედ დანიშვნაზე, ეროვნული სასამართლო სისტემის შესახებ მის მიერ გამოთქმული კრიტიკის გამო. აღნიშნულ საქმეზე სახალხო დამცველის მოსაზრება ეხება სწორედ მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის სერიოზულ ხარვეზებს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრობლემურ მანდატსა და დამოუკიდებლობას. **დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ** საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტსაც მიმართა სასამართლო მეგობრის მოსაზრებით საქმეზე **No. 144/2021 ნინოწმინდის პანსიონის ბავშვების სახელით.** წარდგენილ მოსაზრებებში სახალხო დამცველმა კომიტეტს მიაწოდა ინფორმაცია ნინოწმინდის პანსიონში მცხოვრები ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, ასევე წლების განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატის მიერ იდენტიფიცირებულ დარღვევებზე და შეაფასა გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის დროებითი ღონისძიებების შესრულების ფარგლებში სახელმწიფო უწყებებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხარისხი, მათი მხრიდან განხორციელებული ღონისძიებების არაეფექტიანობისა და დაგვიანების პრობლემატიკა.

სახალხო დამცველის მიერ მომზადებული სპეციალური ანგარიშები

2018-2022 წლებში სახალხო დამცველის აპარატში მომზადდა 86 სპეციალური ანგარიში



2018 წლის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატმა მოამზადა 11 სპეციალური ანგარიში. ისინი შეეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სანიტარია საქართველოს საჯარო სკოლებში; პატიმრობის პირობების გავლენა პატიმართა ჯანმრთელობაზე; ადამიანის უფლებების სწავლება და სასწავლო გარემო ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში; ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის ხარვეზები და სხვ.

2019 წელს სახალხო დამცველის აპარატში მომზადდა 15 სპეციალური ანგარიში. მათში განხილულია ადამიანის უფლებათა დაცვის სხვადასხვა თემატიკა, მათ შორის კი - სანიტარია და ჰიგიენა საქართველოს საჯარო სკოლებში; უფლება სუფთა ჰაერზე; სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა; ბავშვზე ზრუნვის სისტემა; ინკლუზიური განათლება; არასათანადო მოპყრობის გამოძიების ეფექტიანობა; საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევა; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება; პატიმართა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება და მათ მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება.

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუთურაულის საჯარო სკოლა

სსიპ დაბა ლენტეხის საჯარო სკოლა

სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლა

ონის მუნიციპალიტეტის სორის საჯარო სკოლა



2020 წლის განმავლობაში მომზადდა 25 სპეციალური ანგარიში. ისინი შეეხებოდა ადამიანის უფლებათა დაცვის ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი); შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღის ცენტრების მონიტორინგის ანგარიში; ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების დაცვის მდგომარეობა ფსიქიატრიულ და სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკა - სპეციალური აქცენტით ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე; ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში; ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა; ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება; სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებსა და ახალი კორონავირუსის წინააღმდეგ მიმართული საკარანტინე ღონისძიებებით გამოწვეული თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში არსებული მდგომარეობა.

2021 წლის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატმა მოამზადა 20 სპეციალური ანგარიში. მათში განხილულია ნინოწმინდის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის აღსაზრდელთა უფლებრივ მდგომარეობა; საქართველოში ადამიანის უფლებათა სამართლის სწავლება უმაღლესი განათლების საფეხურზე; ქალთა ყოველდღიური გადაადგილების ასპექტები; ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების მიწოდება კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში; კოვიდ-19-ის გავლენა კონფლიქტით დაზარალებულ ქალებსა და გოგოებზე; ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა/პირთა სპეციალიზებული დაწესებულებები; ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება; გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემა - პოლიტიკის, კანონმდებლობისა და აღსრულების გამოწვევები; თანასწორობის მდგომარეობა; ბავშვთა შრომა პანდემიის პირობებში და სხვ.

2022 წელს (26 ოქტომბრის მდგომარეობით) მომზადდა 16 სპეციალური ანგარიში. ანგარიშები ეხებოდა შემდეგ საკითხებს: პანდემიის გავლენა ჯანდაცვის სექტორში მომუშავე ქალების უფლებრივ მდგომარეობაზე; დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა, მისი თავიდან აცილება და თანასწორობის მდგომარეობა; საცხოვრისის სერვისების განხორციელება შშმ პირთა უფლებების ჭრილში; უფასო სასადილოების პროგრამის მონიტორინგის ანგარიში; გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების ეფექტიანობა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგოების საჭიროებები და მათი უფლებების დაცვის მდგომარეობა; კოვიდ 19-ის პანდემიის ზემოქმედება ბავშვთა უფლებებზე საქართველოში; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, გურიის და იმერეთის ხანდაზმულთა ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებებში განხორციელებული მონიტორინგი; ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების საზიანო პრაქტიკა ქვემო ქართლში; საქართველოში არადომინანტი ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი ქალებისა და გოგოების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების კუთხით არსებული მდგომარეობა; ლგბტ+ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები; ლგბტ+ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში; დედათა და ბავშვთა თავშესაფრების მონიტორინგის შედეგები; პენიტენციურ სისტემაში კოვიდ 19-ის პანდემიის გავლენა პატიმრების და პერსონალის ჯანმრთელობის და სხვა სახის უფლებრივ მდგომარეობაზე; ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში 2020; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომისა და დასაქმების უფლება.

გამორჩეულად უნდა აღინიშნოს საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის მიერ განხორციელებული იმ ტიპის ინოვაციური კვლევები, რაც საქართველოში მანამდე არ განხორციელებულა. კერძოდ, სპეციალურ ანგარიშებში: „ლგბტ+ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების მიმოხილვა“ და „ლგბტ+ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში“ სახალხო დამცველმა პირველად შეაფასა საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების სტატუსი და ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ლგბტ+ პირთა უფლებრივი მდგომარეობა. ასევე, სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში- „ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება“ საქართველოში პირველი დოკუმენტია, რომელიც სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივ პროცედურებს სტამბოლის კონვენციასა და ადამიანის უფლებათა სტანდარტების ჭრილში აფასებს. სახალხო დამცველმა მოიკვლია ასევე ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელების ხარვეზები და ინოვაციურ სპეციალურ ანგარიშში გასცა რეკომენდაციები ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის საკითხებზე, კანონმდებლობის, პრაქტიკისა და ბავშვ დაზარალებულზე ორიენტირებული მიდგომის გაუმჯობესების მიზნით.

ბავშვთა უფლებებთან მიმართებით ასევე აღსანიშნავია სპეციალური ანგარიშები: „კოვიდ-19-ის პანდემიის ბავშვთა უფლებებზე ზემოქმედების შეფასება საქართველოში“ და „ბავშვთა ქორწინების საზიანო პრაქტიკა საქართველოში - არსებული გამოწვევები და გადაჭრის გზები.“ პირველ შემთხვევაში, ანგარიში გამორჩეულია მის ფარგლებში გამოყენებული მეთოდოლოგიის ინოვაციურობის თვალსაზრისით. კერძოდ, კვლევა განხორციელდა ბავშვთა უფლებებზე ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს, რა გავლენა იქონია, ან, შესაძლებელია იქონიოს მთავრობის გადაწყვეტილებებმა ბავშვის უფლებების დაცვაზე. კვლევის ფარგლებში, მონაცემების შეგროვების ეტაპზე, არასრულწლოვანების მოსაზრებების გაგების მიზნით, უზრუნველყოფილი იყო მათი უშუალო ჩართულობა. რაც შეეხება მეორე ანგარიშს ბავშვთა ქორწინების შესახებ, აღნიშნულიც არის პირველი კვლევა, რომელიც ერთობლივად აფასებს ყველა პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყების რეაგირებას ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებზე.

ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების თაობაზე გაგზავნილი კომუნიკაციები

2018-2022 წლებში განსაკუთრებით გაიზარდა საქართველოს სახალხო დამცველის ჩართულობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში, რომელიც ზედამხედველობას უწევს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებას, სულ გაიგზავნა 18 კომუნიკაცია, რაც წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვანი მიღწევაა, როგორც რაოდენობრივად, ასევე აღსრულების პროცესზე ზეგავლენის თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, მინისტრთა კომიტეტი მის მიერ მიღებულ, გადაწყვეტილებებში ხშირ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებისგან მოითხოვდა იმ რეფორმებს, საკანონმდებლო თუ პრაქტიკის ცვლილებებს, რაზეც სახალხო დამცველი წარდგენილ კომუნიკაციებში მიუთითებდა. საანგარიშო პერიოდში კომუნიკაციები გაიგზავნა შემდეგ საქმეებზე:

იდენტობის ჯგუფის საქმეები

გაიგზავნა 5 კომუნიკაცია. აღნიშნული ჯგუფი აერთიანებს 6 საქმეს და ეხება შეკრებებისა და მსვლელობების მიმდინარეობისას კერძო პირთა მიერ ჰომოფობიის ან რელიგიური სიძულვილის ნიშნით ჩადენილი თავდასხმებისგან სახელმწიფოს მხრიდან მომჩივნების არასათანადო დაცვის, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის ნიადაგზე საპოლიციო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და აღნიშნულ ფაქტებზე ეფექტიანი გამოძიებების არარსებობას. მინისტრთა კომიტეტი გადაწყვეტილებებში ეყრდნობა სახალხო დამცველის შეფასებებს, რაც მიუთითებს აპარატის კომუნიკაციების მნიშვნელობაზე.

ცინცაბაძის ჯგუფის საქმეები

წარდგენილია 2 კომუნიკაცია. „ცინცაბაძის ჯგუფში“ შემავალი საქმეები ეხება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ სიცოცხლის ხელყოფის და წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებს. სახალხო დამცველის პოზიციის გათვალისწინებით, აღნიშნული საქმეების შესახებ გადაწყვეტილებებში მინისტრთა კომიტეტმა სახელმწიფოსგან მოითხოვა განმარტებები არასათანადო მოპყრობის კვალიფიკაციის პრაქტიკასა და მსხვერპლის მიერ კვალიფიკაციის გასაჩივრების შესაძლებლობაზე, ასევე დაავალა კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად ზომების მიღება.

ივანე მერაბიშვილის საქმე

გაიგზავნა 7 კომუნიკაცია. აღნიშნული საქმე ეხება მომჩივნის მიმართ წინასწარი პატიმრობის გაგრძელებას სათანადო დასაბუთების გარეშე და წინასწარი პატიმრობის გამოყენებას მომჩივანზე ზეწოლის მოსახდენად. სახალხო დამცველის მიერ კომუნიკაციებში განსაკუთრებული ხაზგასმის შემდეგ, ამ საქმესთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში მინისტრთა კომიტეტმა არაერთხელ მოუწოდა ხელისუფლებას გაატაროს რეფორმები პროკურატურის დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით, 2018 წლის კონსტიტუციური ცვლილებების კონტექსტში.

ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ - წარდგენილია 1 კომუნიკაცია. აღნიშნული საქმე ეხება ეროვნულ სამართალწარმოებაში ბავშვების ინტერესების არასაკმარის დაცვას და სოციალური მუშაკების არასათანადო ჩართულობას. სახალხო დამცველის კომუნიკაციაში განხილულია საქმის განხილვაში მცირეწლოვნის ჩაბმასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზები, ასევე „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონის ნაკლოვანებები და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში არსებული პრობლემები.

ამირიძე საქართველოს წინააღმდეგ

წარდგენილია 2 კომუნიკაცია. საქმე ეხება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მომჩივანსა და ადვოკატს შორის კომუნიკაციის კონფიდენციალურობის დარღვევას და ინდივიდუალური საჩივრის უფლების ეფექტურად გამოყენების ხელშეშლას. სახალხო დამცველის კომუნიკაციები ეხება საქმის აღსრულებისთვის განსაზღვრულ ზოგად ღონისძიებებს, მათ შორის პენიტენციურ დაწესებულებაში მოთხოვნა/საჩივრისა და დამცველთან/ადვოკატთან ყოველგვარი შეზღუდვისა და ჩარევის გარეშე შეხვედრის უფლებებით უზრუნველყოფის ხარვეზებს.

თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ

წარდგენილია 1 კომუნიკაცია. აღნიშნული საქმე ეხება ფემიციდის შემთხვევას და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დასაცავად სახელმწიფოს მიერ პრევენციული ზომების არმიღებას და გამოძიების ხარვეზებს სისტემური გენდერული დისკრიმინაციის ფონზე. სახალხო დამცველმა თავის კომუნიკაციაში მიმოიხილა გენდერული შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიებასა და გამე-ორების პრევენციასთან და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული პრობლემები, მსხვერპლებისათვის/დაზარალებულებისათვის არსებული მხარდამჭერი სერვისები და ეროვნული კანონმდებლობის ხარვეზები.

ალტერნატიული ანგარიშები

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატში აქტიურად მიმდინარეობდა ანგარიშგება საერთაშორისო და რეგიონული მექანიზმების წინაშე. **მომზადდა 10 ალტერნატიული ანგარიში და 4 ალტერნატიული მოსაზრება გაეროს შესაბამისი კომიტეტების მიერ საქართველოს ანგარიშგების მიზნით მომზადებულ საკითხთა ნუსხაზე.**

ალტერნატიული ანგარიშების სია ასე გამოიყურება:

- ალტერნატიული ანგარიში **გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ** კომიტეტს და მოსაზრებები საკითხთა ნუსხაზე ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW) შესრულების კუთხით ქვეყანაში არსებული პრობლემური საკითხების შესახებ.
- ალტერნატიული ანგარიში გაეროს საქართველოს **უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის** მესამე ციკლისთვის.
- ალტერნატიული ანგარიში გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტს საქართველოს მიერ **სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ** საერთაშორისო პაქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ. დამატებით, წერილობითი მოსაზრებები კომიტეტის მიერ საქართველოს მეხუთე პერიოდულ ანგარიშთან დაკავშირებით მიღებული საკითხთა ნუსხის შესახებ.
- ალტერნატიული ანგარიში **გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტს** საქართველოს ხელისუფლების მიერ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის აღსრულების თაობაზე.
- საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის წინაშე პირველად წარადგინა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის, ე.წ. **ორჰუსის კონვენციის ალტერნატიული ანგარიში.**
- წერილობითი მოსაზრებები **გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტს** საქართველოს სახელმწიფოსთვის ბავშვის უფლებათა დაცვის მიმართულებით საკითხთა ნუსხის შემუშავებაში კონტრიბუციის მიზნით.
- წერილობითი მოსაზრებები **გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებათა კომიტეტს** კომიტეტის მიერ საქართველოს სახელმწიფოს პერიოდული ანგარიშგების მიზნით მიღებული საკითხთა ნუსხის შესახებ.
- აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველმა **პირველად წარუდგინა საქართველოს პარლამენტს ალტერნატიული ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ,** რამაც ყოველწლიური ხასიათი მიიღო და ჯამურად საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა პარლამენტს 3 ალტერნატიული ანგარიში წარუდგინა.
- საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველმა **ევროპის საბჭოს სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის** წინაშე პირველად წარადგინა ალტერნატიული ანგარიში (კომენტარები), რამაც ასევე ყოველწლიური ხასიათი მიიღო. ამ ეტაპზე ორი ასეთი ალტერნატიული ანგარიშია წარდგენილი, კერძოდ, საქართველოს მთავრობის ეროვნულ მე-14 და მე-15 ანგარიშებზე.

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმებისათვის გაგზავნილი მოსაზრებები/ კითხვარები

საქართველოს სახალხო დამცველმა საანგარიშო პერიოდში მოიწვია საერთაშორისო მანდატის მქონე ექსპერტები. კერძოდ, აჭარის ტელევიზიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით წერილობით მიმართა აზრისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ **გაეროს სპეციალურ მომხსენებელს ირენ ხანს და მედიის საკითხებზე ეუთოს წარმომადგენელს ჰარლემ დეზირს.**

საქართველოს სახალხო დამცველმა ასევე მიაწოდა ინფორმაცია **პირადი ცხოვრების უფლების საკითხებში გაეროს სპეციალურ მომხსენებელს ჯოზეფ კანატაჩის** საქართველოში სავარაუდოდ უკანონო, ფართომასშტაბიანი მოსმენებისა და პირადი ცხოვრების უფლებაში მასობრივად და უხეშად ჩარევის ფაქტებზე.

სახალხო დამცველმა საქართველოში ასევე მოიწვია **გარემოსა და ადამიანის უფლებების საკითხზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი დევიდ ბოიდი** გარემოსდაცვით, ეკოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებსა და ადამიანის უფლებებზე ქვეყანაში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ზეგავლენის შესაფასებლად და მიაწოდა ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისა და რეგულაციების ხარვეზებზე.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების წინაშე წარადგინა მნიშვნელოვანი წერილობითი მოსაზრებები, ისევე როგორც პასუხები სხვადასხვა კითხვარზე.

მომზადდა 30-ზე მეტი წერილობითი კონტრიბუციები, რომლებიც სახალხო დამცველი მანდატის ყველა მიმართულებას ფარავდა და მოიცავდა სხვადასხვა პრობლემურ საკითხებს, მათ შორის,: სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვთა უფლებების დაცვის გარანტიებს; ლგბტ ადამიანების უფლებრივ მდგომარეობას; ჟურნალისტების და სხვა მედია წარმომადგენლების დაცვას და უსაფრთხოებას, ფემიციდის შემთხვევებს და ა.შ. წერილობითი კონტრიბუციებიდან გამოვარჩევთ რამდენიმე დოკუმენტს: რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) კითხვარზე პასუხები; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურ მომხსენებელთან კითხვარზე პასუხები ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურ მომხსენებელთან კითხვარზე პასუხები ფემიციდთან დაკავშირებული მონაცემების შესახებ; კომენტარები ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) დოკუმენტზე - 'Aide-mémoire for NHRIs in times of public emergencies'; საინფორმაციო დოკუმენტი გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 46/27 რეზოლუციის ფარგლებში, რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის კუთხით ქვეყანაში არსებულ პრობლემურ საკითხებზე; გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრისათვის მოსაზრებები საქართველოსთან თანამშრომლობის რეზოლუციის ფარგლებში; ევროპის საბჭოს „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ" ევროპულ ჩარჩო კონვენციით აღებული ვალდებულებების შესრულებაზე სახელმწიფოს ანგარიშის პროექტზე წერილობითი მოსაზრებები; გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის შესრულების თაობაზე საქართველოს III პერიოდული ანგარიშის პროექტის შესახებ წერილობითი მოსაზრებები.

მონაწილეობა კანონშემოქმედებით პროცესში

2018-2022 წლებში სახალხო დამცველის აპარატმა ჯამში საქართველოს პარლამენტში 30 წერილობითი ხასიათის დოკუმენტი წარადგინა, რომელიც გულისხმობს საკანონმდებლო წინადადებას, ზოგად წინადადებას, მოსაზრებებს კანონპროექტთან დაკავშირებით და სხვ. საგულისხმოა, რომ აღნიშნული მონაცემი არ მოიცავს სახალხო დამცველის აპარატის მიერ პარლამენტის სხვადასხვა სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებს.

წარდგენილი დოკუმენტებიდან გამოვარჩევთ რამდენიმეს:

- 2020 წელს სახალხო დამცველის აპარატმა წარადგინა წინადადება საქართველოს კანონის პროექტის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონისა და თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციების ნაწილი გაზიარებულია, 2020 წლის 14 ივლისს მიღებულ კანონში გათვალისწინებული არ იქნა სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა კანონში ასახვაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვას. თუმცა, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება ქვეყნის შიდა კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

- 2018 წელს, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის ახალ პროექტთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა წარადგინა მოსაზრებები, მათ შორის სახალხო დამცველის ხელთ არსებული ბერკეტების შენარჩუნების საჭიროების თაობაზე. პროექტში ახლებური ტერმინების გამოყენება იწვევდა მოქმედი რედაქციით პარლამენტთან მიმართებაში სახალხო დამცველისათვის მინიჭებული რიგი უფლებამოსილებების ამოღებას. შესაბამისად, სახალხო დამცველის მიერ პარლამენტისათვის წარდგენილი წინადადება მოითხოვდა კომიტეტის, საგამოძიებო, სხვა დროებითი კომისიისა და პლენარულ სხდომაზე მისთვის მოხსენებით წარდგენის უფლებამოსილების შენარჩუნებას, რაც პარლამენტის მიერ გათვალისწინებულ იქნა. მომდევნო წლის აპრილში სახალხო დამცველმა უკვე გამოიყენა აღნიშნული უფლებამოსილება და საკუთარი მოთხოვნის შესაბამისად, მოხსენებით მიმართა პარლამენტის პლენარულ სხდომას უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის კანონპროექტთან დაკავშირებით, ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის რეკომენდაციების თაობაზე.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

საქართველოს სახალხო დამცველის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სწავლება. ამ მიზნით აპარატი ხელს უწყობს ფორმალური და არაფორმალური განათლების სფეროში ადამიანის უფლებათა ინტეგრირებასა და სწავლებას. სახალხო დამცველი იღებს და განიხილავს საჩივრებსა და განცხადებებს, რომლებიც უკავშირდება განათლების უფლებას, სწავლების შინაარსსა და პროცესს, როგორც სკოლამდელი, ისე ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლესი და პროფესიული სწავლების მიმართულებით, საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პირების (პედაგოგები, სასწავლო დაწესებულებების ადმინისტრაცია და სხვა) გადამზადების პროგრამებში ადამიანის უფლებათა სწავლების საკითხებს და მათ შინაარსს.

2019 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სახალხო დამცველის აპარატს შორის ჩამოყალიბებული თანამშრომლობის ფარგლებში, მასალებს აპარატის მიერ ნომინირებული ადამიანის უფლებათა ექსპერტებიც აფასებენ. კერძოდ, სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირებისას მაკეტების შინაარსობრივი რეცენზირების პროცესში სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებით დაკომპლექტებული საგნობრივი ჯგუფები წარმოდგენილი მასალის შინაარსს ამოწმებენ და მათი გაუმჯობესებისთვის ავტორთათვის სავალდებულო რეკომენდაციებს გასცემენ. 2019-2022 წლების პრაქტიკა აჩვენებს, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციათა გაზიარების შედეგად, ერთი მხრივ, შინაარსობრივი რეცენზირების პროცესის ორგანიზაციული ასპექტები დიდწილად გაუმჯობესდა. ამავდროულად, დაიხვეწა იმ სახელმძღვანელოების უფლებრივი გამართულობაც, რომელთა შეფასებაშიც აპარატის ნომინირებული ექსპერტებიც მონაწილეობდნენ. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი უკვე გრიფმინიჭებული, სასწავლო პრაქტიკაში დანერგილი სასკოლო სახელმძღვანელოების შინაარსსაც აფასებდა.

აღსანიშნავია, რომ უფლებრივ საკითხებში საჯარო სკოლის მასწავლებელთა ცოდნის გასაუმჯობესებლად, 2018 წელს სახალხო დამცველის აპარატსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის ფარგლებში, აპარატმა მასწავლებლებისთვის ადამიანის უფლებათა არაერთი მნიშვნელოვანი თემატიკის მომცველი ონლაინ-კურსი მოამზადა და ცენტრს მიაწოდა.

ზოგადი განათლების სისტემასთან ერთად, სახალხო დამცველი ადამიანის უფლებათა სწავლების მონიტორინგს უმაღლეს განათლებაშიც ახორციელებდა. კერძოდ, სახალხო დამცველმა შეაფასა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გამოყენებული ზოგიერთი სახელმძღვანელო. ასევე საგულისხმოა, რომ 2021 წელს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა 9 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის საბაკალავრო პროგრამები. ამ პროცესში სახალხო დამცველის აპარატმა შეაფასა, როგორც ადამიანის უფლებების სფეროში ცოდნის, ისე შესაბამისი უნარების განვითარებისკენ მიმართული სავალდებულო საგანმანათლებლო კომპონენტები და დამატებითი საგანმანათლებლო აქტივობები.

საგულისხმოა ზოგადი სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც, სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურულმა ერთეულებმა 2019-2021 წლების განმავლობაში სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის 2914 საინფორმაციო შეხვედრა, 337 ტრენინგი და 280 ლექცია/სემინარი ჩაატარეს. სახალხო დამცველის აპარატი პანდემიის პერიოდშიც აქტიურად მუშაობდა საზოგადოებაში ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე და ამ მიზნით ონლაინ პლატფორმებს იყენებდა.

განსაკუთრებით გამოვყოფთ ბავშვებისთვის საკუთარი უფლებებისა და სახალხო დამცველის მანდატის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ განხორციელებულ აქტივობებს. 2022 წლის 24 მაისიდან 13 ივნისის ჩათვლით, სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ მოსწავლეებთან შეხვედრები გამართა. შეხვედრის ფარგლებში სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა მოსწავლეებს მიაწოდეს ინფორმაცია, მათ შორის, პოლიციელებთან ურთიერთობის დროს საკუთარი უფლებების შესახებ. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები ეწვივნენ კახეთის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, თბილისის, იმერეთის, სვანეთის, გურიისა და აჭარის სკოლებს და 62 სხვადასხვა სკოლის 2 269 მოსწავლეს, მათ შორის, კანონთან კონფლიქტში მყოფ და ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებს შეხვდნენ. შეხვედრები გაიმართა ბავშვების უფლებებზე მომუშავე ადგილობრივ ორგანიზაციასა და კოლეჯშიც.

სახალხო დამცველის მხარდაჭერის ფინანსური პროექტები



საგულისხმოა, რომ 2018-2022 წლებში სახალხო დამცველის აპარატი სხვადასხვა დონორის დაფინანსებით რამდენიმე პროექტს ახორციელებდა. კერძოდ, 2018-2022 წლებში განხორციელებული პროექტები მიზნად ისახავდა შემდეგ მიზნებს: სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერება კახეთის რეგიონში; ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მიდგომის მონიტორინგი სკოლებში; ბიზნესისა და ადამიანის უფლებების საკითხებში ეროვნული საბაზისო კვლების ჩატარება; პენიტენციურ სისტემაში ჯანმრთელობის უფლების დაცვის ხელშეწყობა; ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრასა და პრევენცია; სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არასრულწლოვან ბრალდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა საპროცესო უფლებების დაცვა; სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერება, რომელიც ითვალისწინებს ბავშვებზე სექსუალური ძალადობის მონიტორინგს; სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა ულტრა მემარჯვენე პოლიტიკასთან ბრძოლის მიმართულებით; ქალთა ეკონომიკურ გაძლიერება საქართველოში;

სახალხო დამცველის საჯარო განცხადებები და პრეს-რელიზები 2018-2022 წლებში



სახალხო დამცველის აპარატის ადამიანური რესურსი[1]



1 აღსანიშნავია, რომ 2022 წლის მონაცემები მითითებულია 2022 წლის 5 ოქტომბრის მდგომარეობით, ხოლო 2018-2021 წლების მონაცემები კი ასახავს დასახელებული წლის ბოლოს, კერძოდ, 31 დეკემბერს სახალხო დამცველის აპარატის ადამიანური რესურსის თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობას.

სახალხო დამცველის აპარატის ფინანსური რესურსი



საგულისხმოა, რომ, წინა წლებისგან განსხვავებით, სახალხო დამცველის აპარატის ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა ხდებოდა, ერთი მხრივ, სახალხო დამცველის აპარატის შენობის მშენებლობისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, თბილისის ოფისის ივარისთვის. კერძოდ, 2018-2022 წლებში (2022 წელთან მიმართებით 1 ოქტომბრის მდგომარეობით) შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხის რაოდენობა შეადგენს 3 მილიონ 460 ათას ლარს, ხოლო ოფისის ივარისთვის გამოყოფილი თანხა კი - 3 მილიონ 383 ათას 300 ლარს. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატის ბიუჯეტიდან შენობის მშენებლობისთვის თანხის გამოყოფა დაიწყო 2021 წლიდან.

კერძოდ, 2018 წელს თბილისის ოფისის ივარის ხარჯმა წლიური ბიუჯეტის გეგმასთან მიმართებით შეადგინა 9%, 2019 წელს 18%, 2020 წელს 14 %, ხოლო 2021 და 2022 წლებში 4%. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ცენტრალური ოფისის მშენებლობის შესყიდვის მიზნით ჩატარებული ელექტრონული ტენდერის შესაბამისად, სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 7 904 807,00 (შვიდი მილიონ ცხრაას ოთხი ათას რვაას შვიდი) ლარი. მათ შორის 1120000, 00 (მილიონ ასოცი ათასი) ლარი (2021 წლის ბიუჯეტის გეგმის 13%) გამოიყო 2021 წელს ხოლო 2340000,00 (ორი მილიონ სამას ორმოცი ათასი) (2022 წლის ბიუჯეტის გეგმის 26%) ლარი 2022 წელს.

საქართველოს სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა

ჯამში 2018-2022 წლებში (2022 წლის 2 ნოემბრის მდგომარეობით) აპარატში დაიწყო ადმინისტრაციული საქმისწარმოება - 8 საქმეზე. აქედან: 3 საქმე გადაეცა სასამართლოს და შესაბამისი პირები ცნობილ იქნენ სამართალდამრღვევებად; 3 საქმეზე შეწყდა აპარატში წარმოება და არ გადასცემია სასამართლოს, ხოლო 2 საქმე მიმდინარეა.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებულ საქმეებთან დაკავშირებით სახალხო დამცველის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის არ მოწოდების გამო სასამართლომ სამართალდამრღვევად ცნო შემდეგი სუბიექტები: N 14 სპეციალური პენიტენციური დაწესებულების დირექტორი, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი და სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი. ორ შემთხვევაში სასამართლოს მიერ სამართალდამრღვევებად ცნობილი პირები გათავისუფლდნენ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან და მათ მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნა გამოეცხადათ, ხოლო მესამე შემთხვევაში სამართალდამრღვევად ცნობილ პირს ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა - 1000 ლარის ოდენობით.

სახალხო დამცველის აპარატის მიღწევები 2018-2022 წლებში

სახალხო დამცველის აპარატის პროგრესის ერთ-ერთი მაჩვენებელი შესაძლოა იყოს Edison Research-ის მიერ ბოლო წლებში ჩატარებული კვლევების შედეგები, რომლებიც მოსახლეობის განწყობას აფასებს სხვადასხვა საკითხებისა თუ პირების, მათ შორის, სახალხო დამცველის მიმართაც. 2021 წლის მონაცემებით, Edison Research-ის კვლევის თანახმად, მოსახლეობის 62% ამბობს, რომ სახალხო დამცველს „ენდობა“. ამავე კვლევის მიხედვით, მოსახლეობის მხოლოდ 38% აცხადებს, რომ სახალხო დამცველს „არ ენდობა.“ 2020 წლის მონაცემებით, ასევე Edison Research-ის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, გამოვლინდა, რომ სახალხო დამცველს ენდობოდა მოსახლეობის 60%, ხოლო 40% აცხადებდა, რომ „არ ენდობოდა.“ ასევე აღსანიშნავია საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI)-ის მიერ 2022 წელს გამოქვეყნებული კვლევა, რომლის მიხედვითაც, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ნდობის რეიტინგით ეროვნულ ინსტიტუტებს შორის მეოთხე ადგილს იკავებს ქართული ჯარის, პოლიციისა და იუსტიციის სამინისტროს შემდეგ.

ზემოაღნიშნულთან ერთად, სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის მიმართ პოზიტიური შეფასებები გაჟღერდა სხვადასხვა ორგანიზაციების განცხადებებსა თუ საქმიანობებში, ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე; 2022 წლის 23 მაისს ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 2021 წლის მონაცემები შეაჯამა და სახალხო დამცველის აპარატს, რომელმაც ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით 100%-იანი მაჩვენებელი წარმოადგინა სპეციალური სიგელი გადასცა. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატს 2018-2021 წლებშიც თითოეულ წელს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით 100%-იანი მაჩვენებელი ჰქონდა.

2021 წლის 15 ნოემბერს ევროპის პარლამენტის 2019-2024 წლის მოწვევის პარლამენტარებმა, სამხრეთ კავკასიასთან ურთიერთობის დელეგაციის თავმჯდომარემ მარინა კალიურანდმა და საქართველოს საკითხებში მუდმივმა მომხსენებელმა სვენ მიქსერმა ერთობლივი განცხადება გააკეთეს, სადაც საქართველოს სახალხო დამცველის როლის მნიშვნელობას გაუსვეს ხაზი. ასევე აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 23 ნოემბერს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა დუნია მიატოვიჩმა სპეციალური განცხადება გაავრცელა, სადაც ქართველ პოლიტიკოსებს სახალხო დამცველის ინსტიტუტისადმი პატივისცემისა და მისი მანდატის განხორციელებისადმი ხელშეწყობისკენ მოუწოდა. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის შეფასებით, სახალხო დამცველის ინსტიტუტი თამაშობს უაღრესად მნიშვნელოვან როლს ნებისმიერ დემოკრატიაში, განსაკუთრებით აქ საქართველოში, მაშინ როდესაც ქვეყანა ძალიან მნიშვნელოვან და რთულ საკითხებს უმკლავდება.

სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის როლსა და მნიშვნელობას ასევე ხაზს უსვამს 2022 წლის 17 ივნისს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად ევროკომისიის მიერ მომზადებული შეფასების დოკუმენტი, სადაც აპარატი შეფასებულია როგორც დამოუკიდებელი და ეფექტური ინსტიტუტი. ამ კონტექსტში ასევე აღსანიშნავია ამავე წელს ევროპის პარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია, სადაც ანალოგიურად პოზიტიურად არის შეფასებული საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობა ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით. აღნიშნული მოწმობს, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლით დადგენილ ვალდებულების შესრულებას. ასევე საგულისხმოა 2022 წლის 8 ნოემბერს ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული ანგარიში და შესაბამისი რეზოლუციის პროექტი. ანგარიშში ხაზგასმულია საქართველოს სახალხო დამცველის პოზიტიური როლი ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის, კარგი მმართველობისა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის მიმართულებით.

სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა ქვეყანაში, არაერთი მიმართულებით, ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესების საფუძველი გახდა. წინამდებარე თავში მიმოვიხილავთ 2018-2022 წლებში ადამიანის უფლებების სფეროში მიღწეულ პოზიტიურ ცვლილებებს, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი სახალხო დამცველის აპარატმაც შეიტანა.

2019 წლის პირველი ნოემბრიდან საქართველოში დამოუკიდებელი საგამოძიებო ინსტიტუტი - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ამოქმედდა. სახალხო დამცველის აპარატი და სამოქალაქო საზოგადოება, 2014 წლიდან დამოუკიდებელი საგამოძიებო ინსტიტუტის შექმნის საჭიროებაზე მუდმივად მიუთითებდა და მისი შექმნაც აღნიშნული ადვოკატირების კამპანიის წარმატებულ მაგალითად უნდა ჩაითვალოს. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დაარსების და მისი გაუქმებით სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ჩამოყალიბების შემდეგაც, სახალხო დამცველი განაგრძობს აქტიურ ადვოკატირებას ინსტიტუტის გაძლიერების მიზნით.

წარმატებული ადვოკატირების მაგალითია ასევე „სურამის ფსიქიატრიული კლინიკის“ რეაბილიტაცია. სახალხო დამცველის მიერ აღნიშნული კლინიკის მონახულების და პაციენტთა მძიმე ყოფის ამსახველი ფოტომასალის გავრცელების შედეგად, ფსიქიატრიულ კლინიკაში მასშტაბური სარემონტო სამუშაოები ჩატარდა. სახალხო დამცველი წლების განმავლობაში მიუთითებდა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი პირობების თვალსაზრისით არსებულ მწვავე პრობლემებზე, რაც რიგ შემთხვევებში არასათანადო მოპყრობას უტოლდება. ხაზგასასმელია, რომ სახალხო დამცველის მხრიდან ამ საკითხის ადვოკატირების შედეგად არამხოლოდ სურამის ფსიქიატრიულ კლინიკაში, არამედ სხვა რამდენიმე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ინფრასტრუქტურა გაუმჯობესდა. მაგალითად, გარემონტდა აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის ნაწილი. ინფრასტრუქტურული კუთხით პროგრესი შეინიშნება ბათუმის სამედიცინო ცენტრსა და სენაკის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრშიც. მისასალმებელია, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესაბამისად დაიხურა ბედიანის ფსიქიატრიული კლინიკა.

ქვეყანაში დაიწყო ფსიქიატრიული დაწესებულებების და დიდი ზომის ბავშვთა რეზიდენტული დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი, რაც სახალხო დამცველის წლების განმავლობაში განმეორებადი რეკომენდაცია იყო. სოფელ ფერიის წმ. მატათა მოციქულის სახელობის ფონდის პანსიონში დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი სახალხო დამცველის 2021 წლის რეკომენდაციის და განხორციელებული მონიტორინგის შემდეგ დაიწყო. პანსიონს სახელმწიფო ზრუნვის განხორციელების ლიცენზია 2022 წლის პირველი აპრილიდან შეუწყდა და ამჟამად მისი საგანმანათლებლო დაწესებულებად რეორგანიზაცია, კერძოდ კი, ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნების, ხოლო, ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, ზრუნვის ოჯახთან მიახლოებულ გარემოში გადაყვანის ღონისძიებები მიმდინარეობს. ამ მხრივ ასევე საგულისხმოა ნინოწმინდის სკოლა-პანსიონის დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დაწყება, რასაც სახალხო დამცველი აქტიურად ადვოკატირებდა.

ბავშვთა უფლებების თვალსაზრისით მნიშვნელოვან სიახლედ უნდა მივიჩნიოთ, ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ქალაქ თბილისში ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრის გახსნა. აღნიშნულის საჭიროებაზე სახალხო დამცველი წლების განმავლობაში მიუთითებდა.

ფსიქიკური ჯანმრთელობის ნაწილში დამატებით საგულისხმოა სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესრულება ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის დაფინანსების გაზრდასთან დაკავშირებით; ასევე, „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებები, რომელიც ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტის მიმართ შეზღუდვის მეთოდის გამოყენებისას, პაციენტის სამართლებრივი სტატუსის გადახედვის საჭიროებას მიემართება.

დადებითი სიახლეების კუთხით ასევე საგულისხმოა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება, მასში ისეთი მნიშვნელოვანი ვალდებულებების გაწერა, როგორებიცაა პერსონალური ასისტენტის სერვისის ამოქმედება, გონივრულ მისადაგებაზე უარის თქმის დისკრიმინაციად მიჩნევა, და სხვ. ასევე ხაზგასასმელია სახელმწიფოს მხრიდან გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის შექმნა, რაზეც სახალხო დამცველი კონვენციის რატიფიცირების დღიდან მუდმივად მოუწოდებდა სახელმწიფოს.

ასევე მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებაა 2020 წლის 4 დეკემბერს საქართველოს მთავრობის მიერ ტექნიკური რეგლამენტის „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ დამტკიცება. სახალხო დამცველი მუდმივად ამახვილებდა ყურადღებას მისაწვდომობის უზრუნველყოფის მნიშვნელობაზე, მათ შორის, კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების საჭიროებაზე, რამაც ხელი შეუწყო საკითხის აქტუალიზებას და მთავრობის მიერ ქმედითი ნაბიჯების გადადგმას. მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტი ეფუძნება უნივერსალური დიზაინის პრინციპებს და გაწერილია ტექნიკური კრიტერიუმები შენობა-ნაგებობების, მიწის ნაკვეთების და სხვა ელემენტების მისაწვდომობის საკითხებზე.

ზემოაღნიშნულის გარდა, ნიშანდობლივია, რომ 2020 წელს სახალხო დამცველმა ფსიქიატრიულ და სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების დაცვის მდგომარეობა შეისწავლა, რის შედეგადაც გამოქვეყნდა სპეციალური ანგარიში „ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების დაცვის მდგომარეობა ფსიქიატრიულ და სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში.“ აღსანიშნავია, რომ ანგარიშში ასახული სხვადასხვა რეკომენდაცია შესრულდა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ბრძანებით დაამტკიცა „პერინატალური პერიოდის მართვა ფსიქიკური აშლილობების დროს“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი), ასევე კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი). ასევე საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად იყო ჩართული საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების განხორციელების პროცესში, რომლის საფუძველზეც უსინათლო პირებს დამოუკიდებლად ხელმოწერის შესაძლებლობა ეძლევათ. კერძოდ, სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად იღებდა მონაწილეობას საქართველოს პარლამენტში შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში, მათ შორის, წარადგინა წერილობითი მოსაზრებები.

პენიტენციურ სისტემაში სახალხო დამცველის რეკომენდაციის თანახმად 2018 წელს დაიხურა N7 პენიტენციური დაწესებულება, რომელშიც მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები იყო. პატიმართა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით სახალხო დამცველის აპარატის მიღწევების ნაწილში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2021 წლის 5 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც დააკმაყოფილა სახალხო დამცველის სარჩელი და დაადგინა პატიმრობის კოდექსის იმ დებულებების კონსტიტუციასთან შეუსაბამობა, რომელიც

ბრალდებულს/მსჯავრებულს, დისციპლინური სახდელის და სამარტოო საკანში ყოფნის პერიოდში ბლანკეტურად უზღუდავდა სახალხო დამცველის ცხელ ხაზთან დაკავშირების უფლებას. ასევე, 2020 წელს შესრულდა სახალხო დამცველის აპარატის რეკომენდაცია და განისაზღვრა პენიტენციური დაწესებულების ექიმის ვალდებულება სამედიცინო შემოწმებაზე პატიმრის ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ, მის სხეულზე აღმოჩენილი საეჭვო დაზიანებების შემთხვევაში, შეტყობინება გაუგზავნოს დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმს, მაშინაც კი, როდესაც პატიმარი მის მიმართ განხორციელებულ რაიმე ძალადობის ფაქტზე არ აცხადებს (ან ობიექტურად არ შეუძლია განაცხადოს) მიღწევების ნაწილში დამატებით აღსანიშნავია, რომ 20 წლიდან 15 წლამდე შემცირდა უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიერ შეწყალების უფლებამოსილების გამოყენების ვადა. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტმა გაითვალისწინა სახალხო დამცველის წინადადება და ცვლილებები შეიტანა „შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 26 ნოემბრის ბრძანებულებაში.

მნიშვნელოვან მიღწევად ასევე უნდა მივიჩნიოთ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კოდექსში 2022 წლის 18 ოქტომბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება, რომელსაც სახალხო დამცველი წლების განმავლობაში ადვოკატირებდა. კერძოდ, ცვლილების შედეგად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დაემატა მუხლი, რომლითაც განი-საზღვრა, რომ, თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას მოსამართლეს გაუჩნდა ეჭვი, რომ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მიმართ განხორციელდა წამება, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობა, ან თუ ამის შესახებ თავად ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა განუცხადა სასამართლოს, მოსამართლე რეაგირებისთვის მიმართავს შესაბამის გამოძიების ორგანოს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სახალხო დამცველის რეკომენდაციების კვალდაკვალ გაუმჯობესდა დროებითი მოთავსების იზოლატორებში შესახლებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების დოკუმენტირება; სტამბოლის კონვენციის შესაბამისად გადამზადდა დროებითი მოთავსების იზოლატორებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალი პოლიციის განყოფილებებში გაუმჯობესდა დაკავებულთა ჟურნალების წარმოება; 2018 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, სახალხო დამცველის რეკომენდაციის საპასუხოდ, შეიქმნა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტი, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ფემიციდსა და ფემიციდის მცდელობის დანაშაულებთან მიმართებით გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე დიდწილად გათვალისწინებულია სახალხო დამცველის რეკომენდაციები. დამატებით, სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე 2022 წლის „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე ოჯახური დანაშაულის ან/და ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული პირი, რომელიც გადახდისუუნარო პირად მიიჩნევა, სარგებლობს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით.

დადებით სიახლეს წარმოადგენდა 2020 წელს სახალხო დამცველის და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატირების შედეგად საქართველოს პარლამენტის მიერ სავალდებულო გენდე-რული კვოტირების მექანიზმის შემოღება, ასევე, საქართველოს პროკურატურის, უზენაესი სასამართ-ლოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სსიპ სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის დადებული მემორანდუმის ფარგლებში დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანა-შაულების სტატისტიკის წარმოება და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საიტზე სტატისტიკის გამოქვეყნება.

მნიშვნელოვან მიღწევად ასევე შესაძლოა ჩაითვალოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის გათვა-ლისწინება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობასთან

დაკავშირებული ბარიერების აღმოფხვრასა და არსებული ხარვეზების იმგვარად გამოსწორების თაობაზე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ორივე სქესის მშობლისთვის თანასწორი, ანაზღაურებადი და არაგადაცემადი შვებულების უფლებით სარგებლობა. 2020-2021 წლებში შრომის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შედეგად, ერთმანეთისგან გაიმიჯნა შვებულება ორსულობისა და მშობიარობის და შვებულება ბავშვის მოვლის (ე.წ. დეკრეტული შვებულება) გამო. შესაძლებელი გახდა ორსულობისა და მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულების დღეების გადანაწილება ბავშვის დედასა და მამას შორის, ორ ნაწილად გაიყო ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულება და ბავშვის მოვლის გამო შვებულება.

თანასწორობის მიმართულებით მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები განხორციელდა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში, რომელსაც, მათ შორის, სახალხო დამცველიც ადვოკატირებდა. კერძოდ, შევიწროება და სექსუალური შევიწროება დისკრიმინაციის ფორმებად განისაზღვრა. ამ ნაწილში განსაკუთრებით დადებითად აღსანიშნავია ბოლო წლებში სექსუალური შევიწროების საკითხებზე და, ზოგადად, დისკრიმინაციის თაობაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ტენდენცია, რაც, მათ შორის ვლინდება, კერძო კომპანიების მხრიდან სახალხო დამცველის აპარატისადმი კონსულტაციის მიღების მიზნით გაზრდილი მომართვიანობით, მათ კომპანიებში დადგენილი წესებისა თუ არსებული პროგრამების თანასწორობის პრინციპებთან შესაბამისობის დასადგენად. ასევე, ხშირია მომართვიანობა სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მიერ მათთვის სექსუალური შევიწროების საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრა/ტრენინგის ჩატარების თხოვნით. რამდენიმე სახელმწიფო უწყებამ და კერძო კომპანიებმა სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობით სექსუალური შევიწროების პრევენციის მექანიზმი დანერგეს.

ზემოაღნიშნულის გარდა, ასევე საგულისხმოა 2021 წელს გამოქვეყნებული სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - თვითმმართველი ორგანოების სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების შესაბამისობა თანასწორობის პრინციპთან", რომელშიც მუნიციპალური პროგრამების ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა არის გაანალიზებული. აღნიშნულ ანგარიშს საფუძვლად დაედო სახალხო დამცველის აპარატისადმი მომართვიანობა სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამების სავარაუდო დისკრიმინაციულ ხასიათთან დაკავშირებით. შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა 2020 წლის ყველა მუნიციპალური პროგრამა, შეამოწმა მათი თანასწორობის პრინციპთან შესაბამისობა. სპეციალური ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ დოკუმენტის პრეზენტაცია ყველა მუნიციპალიტეტისთვის ცალ-ცალკე გაიმართა. მას შემდეგ მუნიციპალური პროგრამების სავარაუდოდ დისკრიმინაციულ შინაარსთან დაკავშირებული მომართვიანობა სახალხო დამცველის აპარატში აღარ განხორციელებულა. სახალხო დამცველის რეკომენდაციები მუნიციპალიტეტების მიერ მხედველობაში იქნა მიღებული. ასევე საგულისხმოა მუნიციპალიტეტებთან კარგი თანამშრომლობის მაგალითები. კერძოდ, რამდენიმე მუნიციპალიტეტმა პროგრამის შემუშავებამდე მიმართა სახალხო დამცველის აპარატს და აპარატის თანამშრომლებისგან მიიღო კონსულტაცია თანასწორობის პრინციპთან შეფასების შემოწმების მიზნით; ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაცემული რიგი რეკომენდაციების შესრულების შედეგად დისკრიმინაციული პრაქტიკები აღმოიფხვრა. კარგი თანამშრომლობის მაგალითებია შემდეგი: 1) 2019 წლის 2 სექტემბერს სახალხო დამცველმა სადაზღვევო კომპანია „არდის" წინააღმდეგ ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია დაადგინა. სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე სადაზღვევო კომპანია „არდიმ" შეცვალა პოლიტიკა, რომლის თანახმადაც, მომსახურების გაწევაზე ერთმნიშვნელოვნად უარის თქმის საფუძვლად 70 წელი განისაზღვრებოდა და თითოეული კლიენტის მიმართ ინდივიდუალური მიდგომა დაამკვიდრა. განსახილველი საქმის ფონზე დაზღვევის საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურმა შეიმუშავა რეკომენდაცია და სხვა სადაზღვევო კომპანიებსაც რეკომენდაციის შესრულებისკენ მოუწოდა.

2) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ სახალხო დამცველის მიერ გაცემული კონკრეტული რეკომენდაციების საფუძველზე, 2019 წლის შემდეგ არადომინანტი რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები რელიგიური ლიტერატურის შემოტანის პროცესში წინააღმდეგობას აღარ აწყდებიან.

3) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სახალხო დამცველის რეკომენდაცია გაითვალისწინა და პერინატალური სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებს მისცა ინსტრუქცია საშვილოსნოს მილების გადაკეტვის (სტერილიზაციის) შემთხვევაში ქალის მეუღლის/პარტნიორის თანხმობის სავალდებულო წესით მოთხოვნის დაუშვებლობის შესახებ.

ასევე საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის აპარატს ჯერ კიდევ 2017 წელს ჰქონდა წარდგენილი რეკომენდაცია საქართველოს მთავრობის მიმართ, სადაც მითითებული იყო, რომ სოციალური პაკეტით სარგებლობის უფლება საჯარო სამსახურში დასაქმებული მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზეც უნდა გავრცელებულიყო. საქართველოს მთავრობამ რეკომენდაცია არ გაიზიარა, რის გამოც სახალხო დამცველმა 2021 წელს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. სასამართლომ სარჩელი არსებითად განსახილველად მიიღო, რის შემდეგაც დროის მოკლე პერიოდში საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია და დადგენილებაში ცვლილებები შეიტანა.

დადებით კონტექსტში ასევე უნდა აღინიშნოს 2020 წელს განხორციელებული შრომის კანონმდებლობის რეფორმა, რომლის საჭიროებას სახალხო დამცველმა არაერთხელ გაუსვა ხაზი. კერძოდ, განსაკუთრებით დადებითი მოვლენა იყო შრომის ინსპექციისთვის შრომითი უფლებების დაცვაზე ზედამხედველობის სრული მანდატის მინიჭება. 2021 წლის პირველი იანვრიდან სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურს უკვე შეუძლია საქართველოს შრომის კოდექსითა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დებულებების დარღვევის გამოვლენის მიზნით, დამსაქმებლის თანხმობის გარეშე, სამუშაო ადგილების ინსპექტირება და, უფლებადარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამისი სანქციის გამოყენება. ასევე საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე სსიპ კონკურენციის სააგენტოს დაევალა ფარმაცევტულ ბაზარზე კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის გამოვლენისა და მონიტორინგის ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შემუშავება. სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, საქართველოში ფარმაცევტული ბაზარი მაღალკონცენტრირებულია და ფასნამატი გენერიკულ მედიკამენტებზე რიგ შემთხვევებში აღწევს 200%-ს, ხოლო მედიკამენტებზე, რომლებიც ხელმისაწვდომია სავაჭრო დასახელებებით - 20-30%-ის ფარგლებშია. ხელისუფლების მიერ განხორციელდა ღონისძიებები საზღვარგარეთიდან (თურქეთის რესპუბლიკა) საქართველოში ხარისხიანი და იაფი მედიკამენტების შემოსატანად.

დამატებით საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული აქტივობების შედეგად დადგინდა, რომ მაღალმთიან რეგიონებში არ ხორციელდებოდა „დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამა“, რაც დიდ პრობლემას ქმნიდა ამ პროგრამით მოსარგებლეებისათვის. სახალხო დამცველის აპარატის აქტივობების შედეგად, 2022 წლის 2 მაისიდან ქვეყნის მაღალმთიან მუნიციპალურ საავადმყოფოებში აღნიშნული პროგრამა ამოქმედდა და ბენეფიციარები უზრუნველყოფილი არიან სათანადო მომსახურებით. გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ 2019 და 2022 წლებში სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელდა „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოსახლეობისთვის პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის მონიტორინგი. საველე ვიზიტები განხორციელდა საქართველოს 32 მუნიციპალიტეტის 121 სოფლის ამბულატორიაში. მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ აუცილებელია გაიზარდოს სოფლად პირველადი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და ეფექტურობა. გაიცა რეკომენდაციები, რომლებიც ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაზიარებულ იქნა და მიმდინარეობს მუშაობა სისტემური ცვლილებების კუთხით.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციის შედეგად 2021 წლის თებერვალში განხორციელებული ცვლილებით დროებითი ბინადრობის ნებართვის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს საარსებო შემწეობის მიღების მიზნით სოციალურად დაუცველი ოჯახების ბაზაში რეგისტრაციის შესაძლებლობა მიეცათ.

ზემოაღნიშნულის გარდა, ასევე საგულისხმო იყო სახალხო დამცველის მიერ არაერთ ინდივიდუალურ საქმეზე გაწეული კარგი ადვოკატირების მაგალითები. მაგალითისთვის, მნიშვნელოვანი იყო სახალხო დამცველის აპარატის როლი ხორავას ქუჩაზე ორი არასრულწლოვანის მკვლელობის ფაქტზე არსებული სისხლისსამართლებრივი საქმის ფარგლებში. სახალხო დამცველის აპარატი საგამონაკლისო წესით გაეცნო საქმის მასალებს, რის საფუძველზეც გასცა კონკრეტული წინადადებები სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის წინადადება კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე, წინადადების წარდგენიდან რამდენიმე თვეში გათვალისწინებულ იქნა და საბოლოოდ იმ პირის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, რომლის მიმართაც თავდაპირველად სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას სახალხო დამცველი ითხოვდა.

ასევე მნიშვნელოვანი იყო სახალხო დამცველის აპარატის როლი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ამჟამად ბრალდებულ/მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილის უფლებების დაცვის პროცესში. სახალხო დამცველის აპარატი დაკავების დღიდანვე აქტიურად ზედამხედველობდა მიხეილ სააკაშვილის უფლებების დაცვის საკითხს. საგულისხმოა, რომ 2021 წლის 16 ნოემბერს სახალხო დამცველმა ბრალდებულ/მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილისთვის იუსტიციის სამინისტროს/სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ადეკვატურობისა და დროულობის მონიტორინგის მიზნით მულტიპროფილური სამედიცინო ექსპერტთა ჯგუფი მოიწვია. მულტიფუნქციური ჯგუფის მიერ გაცემული დასკვნები და რეკომენდაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის დაცვის პროცესში. მულტიფუნქციური ჯგუფი ხაზს უსვამდა, რომ N18 პენიტენციური დაწესებულება, სადაც მიხეილ სააკაშვილი იმყოფებოდა, სრულფასოვნად არ პასუხობდა გაცემულ რეკომენდაციებს და რომ აუცილებელი იყო პაციენტის მკურნალობა დაუყოვნებლივ გაგრძელებულიყო ფუნქციურად გამართულ და დიდი გამოცდილების მქონე პოლიპროფილურ ჰოსპიტალში. სახალხო დამცველის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაზე დაყრდნობით, 2021 წლის 19 ნოემბერს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოცემული დროებითი გადაწყვეტილების საფუძველზე, საბოლოოდ იუსტიციის სამინისტრომ/პენიტენციურმა სამსახურმა მიხეილ სააკაშვილი N18 დაწესებულებიდან სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის თავდაცვის სამინისტროს, გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანა. მულტიფუნქციური ჯგუფი შემდგომშიც განაგრძობდა მეთვალყურეობას მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობაზე. ჯგუფის რეკომენდაციები ასევე გახდა 2022 წლის მაისში მიხეილ სააკაშვილის კლინიკა „ვივამედში“ გადაყვანის საფუძველი.

სახალხო დამცველის აპარატის წინაშე მდგარი გამოწვევები

2020 წელს, პანდემიამ სახალხო დამცველის აპარატი ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. დისტანციურ რეჟიმში მუშაობამ საწყის ეტაპზე არაერთი ლოჯისტიკური და ტექნიკური პრობლემა წარმოქმნა. თუმცა, აპარატმა მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადაში მოახერხა სრულფასოვანი ადაპტაცია და პრაქტიკულად მნიშვნელოვანი შეფერხების გარეშე განაგრძო საქმიანობა. აპარატს არ შეუჩერებია დახურულ დაწესებულებებში პატიმრების მონახულებაც შესაბამისი პრევენციული აღჭურვილობითა და უსაფრთხოების ღონისძიებების დაცვით. პანდემიის პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა მოამზადა არაერთი საჯარო განცხადება და სპეციალური ანგარიში, რომელიც უშუალოდ კოვიდ-19-თან დაკავშირებულ გამოწვევებსა და პანდემიის პირობებში ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტებს, აღნიშნული კუთხით ქვეყანაში ადამიანის უფლებების თვალსაზრისით განვითარებული პროცესების შეფასებას შეეხებოდა.

საანგარიშო პერიოდში პანდემიაზე გაცილებით მწვავე გამოწვევა სახალხო დამცველის აპარატისთვის საქმიანობის განხორციელებაში ხელშეშლა იქცა, რაც სხვადასხვა ფორმით გამოვლინდა. ამ კუთხით პირველ რიგში გამოვყოფთ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების უსაფრთხოებას, რომელიც რამდენჯერმე დადგა საფრთხის ქვეშ. 2020 წლის 4 დეკემბერს და 2021 წლის 13 იანვარს გლდანის N8 დაწესებულებაში ერთი და იგივე პატიმარი დაემუქრა სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს და ციხეში ვიზიტის შეწყვეტა მოსთხოვა. 2021 წლის დასაწყისში სახალხო დამცველის წარმომადგენლები გახდნენ არაერთი სიტყვიერი თავდასხმის ობიექტები სხვადასხვა ნახევრად ღია დაწესებულებების ტერიტორიაზე, რაც პირდაპირ ან ირიბად ორგანიზებული იყო ციხის ადმინისტრაციის მხრიდან. მას შემდეგ რაც წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი ჩამოვიდა საქართველოში საგანგებო ვიზიტით 2021 წლის მაისში, შეხვედრა გაიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრთან, რომელმაც მოგვცა პირობა რომ მსგავს ინციდენტებს აღარ ექნებოდა ადგილი. აღნიშნულის შემდეგ მართლაც აღარ განხორციელებულა მსგავსი თავდასხმები აპარატის თანამშრომლებზე. საგულისხმოა, რომ 2021 წლის იანვარში სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მიმართ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებების ნაწილი ასახულია სახალხო დამცველის აპარატის მოთხოვნის საფუძველზე დაარქივებულ ვიდეომასალაში. ასევე აღსანიშნავია, რომ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს პროკურატურამ დაიწყო გამოძიება, რომელიც დღემდე მიმდინარეობს.

სახალხო დამცველის საქმიანობაში დაბრკოლებების შექმნის თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის საქმე. სახალხო დამცველი წლების განმავლობაში აცხადებდა, რომ სახალხო დამცველის წარმომადგენლებს არ ეძლეოდათ ამ პანსიონში მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა. იმ ფონზე, როცა სახალხო დამცველი საჯაროდ საუბრობდა აღნიშნულ პანსიონში მცხოვრები ბავშვების განსაკუთრებით მძიმე უფლებრივ მდგომარეობაზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თავად შესაბამის სახელმწიფო უწყებებს ეწარმოებინათ მონიტორინგი იმგვარად, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევების დროული იდენტიფიცირება. სამწუხაროდ, სახელმწიფომ ვერც აღნიშნული მონიტორინგი და ვერც სახალხო დამცველის წარმომადგენლების დაშვება უზრუნველყო პანსიონში მონიტორინგის განსახორციელებლად, რისი შესაძლებლობაც აპარატს მხოლოდ 2021 წელს მიეცა.

სამწუხაროდ, ნინოწმინდის პანსიონში ბავშვის უფლებათა სისტემური დარღვევები, არასრულწლოვანთა მიმართ წლების განმავლობაში დამამცირებელი, არაადამიანური და წამებასთან გათანაბრებული მოპყრობა, ბავშვების მიმართ სავარაუდო სექსუალური ხასიათის დანაშაულის ნიშნები გამოვლინდა.

საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ნინოწმინდის პანსიონში მომხდარ სავარაუდო დანაშაულებზე მიმდინარე 4 სისხლის სამართლის საქმე. მასალების შესწავლამ ცხადყო, რომ, სამწუხაროდ, გამოძიებაზე წლების განმავლობაში ჭიანურდება საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, არ ხდება გამოძიების სწორი კვალიფიკაცია, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით მოქმედება და სხვ. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველმა ეფექტიანი გამოძიების წარმოების თაობაზე წინადადებით მიმართა გენერალურ პროკურორს და მოითხოვა საქმეების ერთ წარმოებად გაერთიანება, საქმეთა კვალიფიკაციის, საგამოძიებო სტრუქტურული ერთეულისა და ზედამხედველი პროკურორის შეცვლა, ასევე., მთელი რიგი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება, თუმცა, გენერალურმა პროკურორმა სახალხო დამცველის წინადადებების მხოლოდ ნაწილი გაითვალისწინა.

საანგარიშო პერიოდში სპეციალური პენიტენციური სამსახურის/იუსტიციის სამინისტროს მიერ რამდენჯერმე უხეშად დაირღვა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მანდატის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი და „სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის ნორმა, რომლის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველის შეხვედრა დაკავებულებთან, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირებთან და მსჯავრდებულებთან, კონფიდენციალურია. რაიმე სახის მიყურადება ან თვალთვალი დაუშვებელია. ერთ-ერთ ასეთ ფაქტზე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ვიდეოჩანაწერების გასაჯაროების ნაწილში, სამართალდამრღვევად ცნო როგორც იუსტიციის სამინისტრო, ისე სპეციალური პენიტენციური სამსახური და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის დარღვევისთვის ორივე უწყება დააჯარიმა. კერძოდ, იუსტიციის მინისტრის მიერ 2020 წლის 21 იანვარს საქართველოს პარლამენტში, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე ვიდეოჩანაწერების გასაჯაროების ფაქტზე, სადაც სახალხო დამცველის წარმომადგენლების პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტები იყო აღბეჭდილი.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობას რიგ შემთხვევებში აბრკოლებდა რელევანტური სახელმწიფო უწყებების მხრიდან სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მოუწოდებლობა და ხშირ შემთხვევებში დაგვიანებით მოწოდებაც. გარდა ამისა, გამოიკვეთა რიგი გარემოებები რაც სახალხო დამცველს მანდატით განსაზღვრული უფლებამოსილებები ეფექტიანად განხორციელებაში ხელს უშლიდა. მაგალითისთვის, სახელმწიფო უწყებებში თანასწორობის პოლიტიკისა და ერთიანი ხედვის არარსებობა, გარდა იმისა, რომ ხელს უშლის ამა თუ იმ სფეროში თანასწორობის პრინციპთან შეუსაბამო სახელმწიფო პოლიტიკებისა და პრაქტიკების აღმოფხვრას და დისკრიმინაციის კონკრეტული ფაქტების პრევენციას, აღნიშნული ფაქტორები მნიშვნელოვან დაბრკოლებებს ქმნის ქვეყანაში თანასწორობის უზრუნველყოფის პროცესში სახალხო დამცველის აპარატის შედეგობრივი საქმიანობის კუთხითაც. პოლიტიკოსები და საჯარო პირები კვლავ არ აკეთებენ ტოლერანტობის მხარდამჭერ განცხადებებს და მეტიც, დისკრიმინაციის წამახალისებელი გამონათქვამებით გამოირჩევიან, რაც ხელს უშლის სახალხო დამცველის მიერ ამ მიმართულებით გაწეული სამუშაოს კონკრეტულ შედეგებში ასახვას. ზემოაღნიშნულის გარდა, ნიშანდობლივია, რომ ზოგიერთ შემთხვევებში, სახელმწიფოს მხრიდან რელევანტური დოკუმენტების დაგვიანებით შემუშავება სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობაზე გავლენას ახდენდა. მაგალითისათვის, რელევანტური სამოქმედო გეგმების თითქმის ორი წლის დაგვიანებით დამტკიცება, სახალხო დამცველის აპარატს ხელს უშლიდა შეეფასებინა სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებები და ვალდებულებების შესრულების სტატუსი.

სახალხო დამცველი ადამიანის უფლებების კიდევ უფრო ეფექტიანად დაცვის მიზნით წლებია საქართველოს პარლამენტისგან მანდატის გაფართოებას ითხოვს, კერძოდ, გამოძიების დასრულებამდე, არასათანადო მოპყრობის ან/და სიცოცხლის ხელყოფის ფაქტის გამოძიების მასალების გაცნობის უფლებამოსილების მინიჭებას, თუმცა, საკანონმდებლო ცვლილებები დღემდე არ განხორციელებულა.

და ბოლოს, საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა ასევე სხვადასხვა პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან სახალხო დამცველზე თავდასხმებს, მისი ფუნქცია-მოვალეობების ეჭვქვეშ დაყენებას, სახალხო დამცველის მანდატისადმი გამოვლენილ უპატივცემულობას, რაც სამწუხარო ფაქტებია.

წინამდებარე თავში, ასევე მიმოვიხილავთ 2018-2022 წლებში ადამიანის უფლებების სხვადასხვა სფეროში არსებულ არაერთ გამოწვევას, რომელიც სახალხო დამცველის მიერ წლიდან წლამდე გაცემული რეკომენდაციებისა და გაწეული ადვოკატირების მიუხედავად, სამწუხაროდ კვლავ სახეზეა.

გამოწვევებზე საუბრისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2021 წელი გამოირჩეოდა ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით, რომელიც ხელყოფდა ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვაზე ზედამხედველი/პასუხისმგებელი სახელმწიფო ინსტიტუტების დამოუკიდებლობას. 2021 წელს გაუქმდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური. სახალხო დამცველის შეფასებით, ინსპექტორის სამსახურთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებების მიზანი დამოუკიდებელ ორგანოს საქმიანობაში ჩარევა და მასზე ზეგავლენის მოხდენა იყო; აღნიშნული პროცესი კანონის უზენაესობის ხელყოფისა და დამოუკიდებელი ინსტიტუტების ეფექტური ფუნქციონირების საფრთხეს და საშიშ პრეცედენტს წარმოადგენს. ასევე, მიღებულ იქნა სხვა საკანონმდებლო ცვლილებებიც, რაც მკვეთრად აუარესებს საქართველოში მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხარისხს, მართლმსაჯულების სისტემისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების მდგომარეობას. ამ ნაწილში ასევე საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველი წლებია პროკურატურის ინსტიტუციური მოწყობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების გასაუმჯობესებლად, პარლამენტს გენერალური პროკურატურის რეფორმის დაწყებისკენ მოუწოდებს, რაც, დარღვეული უფლებების აღდგენისა და პრევენციის კუთხით საქართველოს გენერალური პროკურატურის არსებითი როლის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, ამ დრომდე აღნიშნული წინადადება გათვალისწინებული არ არის.

ზემოაღნიშნულის გარდა, ასევე საგულისხმოა, რომ პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მხრიდან შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტზე სწრაფი, ობიექტური და ჯეროვანი რეაგირება კვლავ გამოწვევად რჩება. სახალხო დამცველის აპარატმა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ წარმოებულ სამსახურებრივ შემოწმებებში არსებითი ხასიათის ხარვეზები გამოავლინა, რაც გენერალური ინსპექციის მიერ საქმიანობის სისტემურ არაჯეროვან შესრულებაზე მიუთითებს.

სამართალდამცავი უწყებების გენერალურ ინსპექციებთან მიმართებით გამოწვევების ნაწილში ასევე უნდა აღინიშნოს ე.წ. ხორავას საქმეში არსებული ხარვეზები. საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის აპარატი წლებია საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში მიმდინარე სამსახურებრივი შემოწმების შედეგებს ელის და სისტემატურად ითხოვს ინფორმაციას მოკვლევის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, გენერალურ პროკურატურას დღემდე არ მიუღია გადაწყვეტილება და, უფრო მეტიც, იგი არ განმარტავს მიზეზს, თუ რა უშლის ხელს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებას და სამართალდამცავების ქმედებების სამართლებრივ შეფასებას. პროკურატურა წლებია შემოიფარგლება იდენტური აბსტრაქტული და ფორმალური პასუხებით, რომ გენერალურ ინსპექციაში კვლავ მიმდინარეობს შემოწმება.

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საანგარიშო პერიოდში ჩადენილი ყველა გახმაურებული სისხლის სამართლის საქმე, სადაც აპარატს მიეცა საქმის მასალებზე წვდომის შესაძლებლობა და რელევანტური რეკომენდაციებით მიმართა შესაბამის უწყებებს. ამ ნაწილში გამოვყოფთ თემირლან მაჩალიკაშვილისა და გიორგი შაქარაშვილის საქმეებს. ორივე საქმის მასალების შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველის აპარატმა გამოძიების მნიშვნელოვანი ხარვეზები დაადგინა. მაჩალიკაშვილის საქმეზე 2020 წლის 25 იანვარს პროკურატურის მიერ დანაშაულებრივი ქმედების არარსებობის საფუძვლით გამოძიების შეწყვეტის შემდეგ, სახალხო დამცველმა პროკურატურას საქმის განახლებისა

და სრულყოფილი გამოძიების ჩატარების წინადადებით მიმართა, ხოლო შაქარაშვილის საქმის ფარგლებში სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა გენერალურ პროკურორსა და შინაგან საქმეთა მინისტრს, რომლის ფარგლებშიც გამოძიების საწყის ეტაპზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების ნაწილის არაჯეროვნებასა და დაყოვნებაზე, ასევე არაერთი კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობაზე მიუთითა. სამწუხაროდ, სახალხო დამცველის აღნიშნული წინადადებები არ შესრულებულა. ასევე საგულისხმოა ლუკა სირაძის საქმე, რომლის ფარგლებშიც, მათ შორის, პრობლემური იყო არასრულწლოვანის მიმართ განხორციელებული სხვა უკანონო ქმედებების დაუსჯელობა. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატმა ასევე შეისწავლა ხსენებულ საქმეზე მსჯავრდებული პირის - მ. ჩ.-ს სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხიც, რითიც, სახალხო დამცველის შეფასებით, სახელმწიფოს მხრიდან დაირღვა არასათანადო მოპყრობის აკრძალვის კონსტიტუციური პრინციპი, რადგან საბოლოოდ მსჯავრდებულს არ მოუხდია შეფარდებული სასჯელის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2018 წლის სექტემბერ-ნოემბერში სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს პირველი პრეზიდენტის- ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის 16 ტომიანი საქმის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ გამოძიებამ ვერ მოახერხა ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოების სრული სურათის აღდგენა, საქმისთვის მნიშვნელოვანი და არსებითი მტკიცებულებების მოპოვება, შესაძლო დანაშაულში მონაწილე პირების, მათ შორის, შესაძლო ორგანიზატორის, ამსრულებლისა და დამხმარის იდენტიფიცირება და პასუხისგებაში მიცემა. გამოწვევების თვალსაზრისით ასევე საგულისხმოა 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ გამოძიებაში კვლავ იკვეთება რიგი ხარვეზები, რაზეც სახალხო დამცველი თავის საპარლამენტო ანგარიშებშიც საუბრობს.

სახალხო დამცველის აპარატმა ასევე შეისწავლა ე.წ. „ციანიდის საქმე“ და აღნიშნა, რომ მსჯავრდებული გიორგი მამალაძის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე არ იყო უზრუნველყოფილი სასამართლო განხილვის საჯაროობა სასამართლო განხილვის არცერთ სტადიაზე, რამაც, შესაბამისად, უარყოფითად იმოქმედა როგორც სასამართლოს ნდობაზე, ისე ამ კონკრეტული საქმის მართლმსაჯულების ხარისხზე, რის მნიშვნელობაზეც სახალხო დამცველი წლებია საუბრობს. ამავე საქმეში მამალაძის ადვოკატებს ბრალდების მხარემ გაუთქმელობის ვალდებულება დააკისრა, იმ პირობებში, როდესაც თავად აქტიურად ეწეოდნენ ცალკეული მტკიცებულებების საჯარო განხილვას.

გამოწვევებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველი წლებია ყურადღებას ამახვილებს ქვეყანაში არსებულ ერთ-ერთ ყველაზე მთავარ პრობლემაზე, როგორიცაა ბავშვთა სიღარიბე. სამწუხაროდ, წლიდან წლამდე ბავშვთა სიღარიბის მზარდი ტენდენციის მიუხედავად, სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ შეუმუშავებია მისი შემცირების ეფექტიანი მექანიზმი.

ზემოაღნიშნულის გარდა, კვლავ სახეზეა არაერთი გამოწვევა. კერძოდ, მნიშვნელოვანია შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის სოციალურ მოდელზე გადასვლა, რომელიც, გარდა სამედიცინო ჩვენებისა, ყურადღებას გაამახვილებს პირის ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებზე. მნიშვნელოვანია სოციალური პაკეტის ოდენობა მორგებული იყოს შშმ პირების ინდივიდუალურ საჭიროებებზე. ასევე მნიშვნელოვანია არსებობდეს შშმ პირთა შესახებ ვალიდური სტატისტიკა, რაც ამ პირთა საჭიროებების განსაზღვრასა და ამ საჭიროებებზე მორგებული მიზნობრივი პროგრამების შემუშავებას შესაძლებელს გახდის. ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფომ გადადგას ეფექტიანი ნაბიჯები შშმ პირთა საკითხებზე პასუხისმგებელ უწყებებში კომპეტენციის ნაკლებობისა და ფინანსური რესურსების სიმწირის აღმოსაფხვრელად, განსაკუთრებით ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე. ასევე აუცილებელია შეიცვალოს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებები; უზრუნველყოფილი იყოს სერვისების სრული გეოგრაფიული დაფარვა, ქვეყნის მასშტაბით შესაბამისი საჭიროების მქონე ყველა შშმ ბავშვის/ პირისათვის.

ასევე მნიშვნელოვანია შეიქმნას სფეროს დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგია. სახალხო დამცველის არაერთი მოწოდებისა თუ წლიდან წლამდე გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება ფსიქიატრიული დაწესებულებების სრულად დეინსტიტუციონალიზაციის საკითხი. აუცილებელია გაიზარდოს სათემო სერვისების რაოდენობა და გეოგრაფიული დაფარვის არეალი, ვინაიდან კვლავ გამოწვევას წარმოადგენს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებული პაციენტების ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაცია. პაციენტები, რომლებიც აქტიურ მკურნალობას არ საჭიროებენ, სათემო სერვისების სიმწირის და იმის გამო, რომ წასასვლელი არსად აქვთ, დაწესებულებას ვერ ტოვებენ. ასევე, საჭიროა შემუშავდეს მისაწვდომობის ეროვნული გეგმა, რომლის შემუშავება შშმ პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონითაა განსაზღვრული და რომლის გარეშე მნიშვნელოვნად ზარალდება მისაწვდომობის უფლების ეფექტური განხორციელება პრაქტიკაში. აუცილებელია მიღებულ იქნას ევროკავშირის მიდგომასთან ჰარმონიზებული შესაბამისი სამართლებრივი და მარეგულირებელი კომპონენტები, ყველა სახელმწიფო უწყებისთვის დაინერგოს „ონლაინ გამოყენებადობა და ვებ მისაწვდომობის სტანდარტი."

ზემოაღნიშნულის გარდა, დამატებით ნიშანდობლივია, რომ, სამწუხაროდ, სახალხო დამცველის მიერ აღნიშნულ პრობლემაზე არაერთგზის ხაზგასმის მიუხედავად, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ფსიქიატრიული დახმარება არ შეესაბამება თანამედროვე ბიო-ფსიქო-სოციალური მიდგომის და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ჯანდაცვის პრინციპებს, მხოლოდ ფსიქიატრის კონსულტაციით შემოიფარგლება და არ მიმდინარეობს მულტიდისციპლინური მუშაობა. ასევე დანანებით უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის ადვოკატირების მიუხედავად, ნორმატიულ დონეზე კვლავ არ არის განსაზღვრული სტაციონარში მოთავსებისა და მკურნალობისთვის ცალ-ცალკე ინფორმირებული თანხმობების მიღების ვალდებულება. შესაბამისად, ისევე როგორც სტაციონირებაზე თანხმობის შემთხვევაში, მკურნალობის მეთოდების შერჩევისას პაციენტების ნება კვლავ უგულებელყოფილია. ასევე საგულისხმოა, რომ, სამწუხაროდ, კვლავ გაუთვალისწინებელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიმართ, რომ ამ უკანასკნელმა მიიღოს ყველა ზომა, მათ შორის, ფინანსური რესურსის გამოყოფით, რათა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში აღმოიფხვრას უსაფრთხო და თერაპიული გარემოს კუთხით არსებული პრობლემები. გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ, მართალია, სახალხო დამცველი წლების განმავლობაში ამახვილებს ყურადღებას აღნიშნულ საკითხზე, თუმცა, სამწუხაროდ, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში კვლავ არ არის დანერგილი პაციენტის მიმართ ჩადენილი შესაძლო ძალადობის დოკუმენტირებისა და საგამოძიებო უწყებაში შეტყობინების გაგზავნის სამართლებრივი მექანიზმი. ფსიქიატრიული დაწესებულებები პრაქტიკულად რეაგირების გარეშე ტოვებენ უკვე მომხდარ კონფლიქტებს, რადგან დაწესებულებებს არ აქვთ ვალდებულება სპეციალურ ჟურნალებში აღნუსხონ ძალადობის შემთხვევები და მიიღონ შესაბამისი ზომები.

დამატებით აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი წლებია საუბრობს პენიტენციურ დაწესებულებებში არსებულ არაფორმალურ მმართველობაზე, როგორც უმთავრეს პრობლემაზე. სამწუხაროდ, აღნიშნული პრობლემა სახალხო დამცველის მიერ გაწეული ადვოკატირების მიუხედავად, კვლავ გადაუჭრელია. არაფორმალური მმართველობა პატიმართა გაჩუმებას, პრობლემებზე საუბრის აკრძალვასა და დაწესებულებებში მოჩვენებითი წესრიგის შენარჩუნებას ისახავს მიზნად. დღემდე შეუსრულებელია სახალხო დამცველის მიერ საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიმართ გაცემული რეკომენდაცია, პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული კრიმინალური სუბკულტურისა და არაფორმალური მმართველობის დასაძლევად, კრიმინალური სუბკულტურის დაძლევის სტრატეგიის შემუშავების საჭიროებაზე. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ 2020 წელს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა 2013-2020 წელს მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის ის საქმეები, სადაც პატიმრებისგან პროკურატურას მიეწოდა ინფორმაცია როგორც კრიმინალური სუბკულტურის, ისე მათი მფარველი ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ შესაძლო დანაშაულების ჩადენის კონკრეტულ

ფაქტებზე. შესწავლილი საქმეების შედეგად დადგინდა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ პატიმრები საგამოძიებო ორგანოებს დეტალურ ინფორმაციას აწვდიდნენ არაფორმალური კრიმინალური მმართველობის სქემის, ჩართული პირების, მათ მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედებების თაობაზე, საქართველოს პროკურატურის ორგანოებს და პენიტენციური სამსახურის შიდა მონიტორინგის ორგანოს მსგავს საქმეებზე ეფექტიანი რეაგირებისა და პასუხისმგებელ პირთა დასჯის მოტივაცია არ ჰქონია და მრავალი საპროცესო და საგამოძიებო მოქმედება ჩაუტარებელი დარჩა.

ზემოაღნიშნულის გარდა, დამატებით საგულისხმოა პენიტენციური სისტემის ფარგლებში ადეკვატური სამედიცინო მომსახურების მიღების უფლებასთან დაკავშირებული გამოწვევები. მაგალითისათვის, სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ერთ-ერთი საქმე, სადაც, შესაძლოა, ადგილი ჰქონდა პენიტენციური სისტემის სამედიცინო პერსონალის მხრიდან სამოხელეო დანაშაულის ჩადენას, რასაც შედეგად პატიმრის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა. საგულისხმოა, რომ, სახალხო დამცველის შეფასებით, აღნიშნულ საქმეზე პროკურატურის მიერ წარმოებული გამოძიების ფარგლებში გამოძიებას პასუხი არ გაუცია პენიტენციურ სისტემაში პატიმრისთვის მიწოდებული სამედიცინო მომსახურების დროულობასა და ადეკვატურობასთან, ოპერაციული მკურნალობის დაყოვნებასთან დაკავშირებულ კითხვებზე, ასევე იმაზე, რამდენად მოახდინა გავლენა პატიმრისთვის არასათანადო და დაგვიანებულმა მკურნალობამ მის გარდაცვალებაზე. სახალხო დამცველის მიერ პატიმართა გარდაცვალების საქმეების შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ აღნიშნული არ არის მხოლოდ ერთი საქმის ფარგლებში გამოვლენილი გამოძიების ხარვეზი და მას სისტემური ხასიათი აქვს.

სამწუხაროდ, კვლავ გადაუჭრელია პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების მექანიზმთან დაკავშირებული ის პრობლემები, რომელთა გადაჭრის მნიშვნელობაზეც სახალხო დამცველი წლებია საუბრობს. კერძოდ, ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხებზე მუშაობენ, ხშირად იდენტური მოცემულობების საქმეებში განსხვავებულ გადაწყვეტილებას იღებენ. გადაწყვეტილებების სამოტივაციო ნაწილი კი შაბლონური, ფორმალური ხასიათისაა და არ შეიცავს სათანადო დასაბუთებას. არავინ იცის ერთი პატიმარი რატომ გაათავისუფლეს, მაშინ როცა იგივე მოცემულობის საქმეებში სხვა პატიმრის მიმართ უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღეს. პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე რამდენიმეწლიანი დაკვირვება ნათლად გვაჩვენებს რომ გადაწყვეტილებების მიღება არ ეფუძნება ლოგიკას და კანონის მოთხოვნებს.

დამატებით აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი ვიდეოჩანაწერებთან დაკავშირებით, წლებია გასცემს რეკომენდაციებს როგორც ნორმატიული აქტით დასარეგულირებელ საკითხებზე, როგორიცაა სამხრე კამერებით და პოლიციის ავტომანქანაში ვიდეოგადაღების ვალდებულება და გონივრული ვადით მასალის შენახვა, ასევე გასცემს რეკომენდაციებს პოლიციის დაწესებულებების ვიდეო ინფრასტრუქტურით სრული აღჭურვის და დაკავებული პირის გადაადგილების არეალის სრული დაფარვის შესახებ. სამწუხაროდ, ნორმატიულ დონეზე ამ მხრივ ცვლილებები დღემდე არ განხორციელებულა.

ზემოაღნიშნულის გარდა, აღსანიშნავია თავდაცვის სფეროში არსებული პრობლემები, რომელთა გამოსწორების მნიშვნელობაზე სახალხო დამცველი წლებია ამახვილებს ყურადღებას. კერძოდ, სამწუხაროდ, კვლავ სისტემური პრობლემაა სამხედრო მოსამსახურეების არაფორმალური და კოლექტიური დასჯის პრაქტიკა.

გამოწვევებზე საუბრისას დამატებით აღსანიშნავია, რომ 2019 წლიდან სახალხო დამცველი რეკომენ-დაციის სახით მიუთითებს, „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის 30-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესაბამისად, შემუშავდეს დროული, ადეკვატური და ეფექტიანი კომპენსაციის გაცემის წესი. თუმცა, აღნიშნული წესი ამ დრომდე არ შემუშავებულა. გარდა ამისა, სამწუხაროდ, სახალხო დამცველის რეკომენდაციების მიუხედავად, ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამები მოძალადე მსჯავრდებულებისა და პრობაციონერებისთვის კვლავ არ არის სავალდებულო. დამატებით ამ ნაწილში აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან სახალხო დამცველი ითხოვს ოჯახის დაგეგმვის სერვისების პირველადი ჯანდაცვის სისტემაში სრულყოფილად ინტეგრირებას, თუმცა, არც აღნიშნული რეკომენდაციაა გათვალისწინებული. გარდა ამისა, სამწუხაროდ, კლავ არ არის გათვალისწინებული სახალხო დამცველის მიერ წლების განმავლობაში გაცემული რეკომენდაცია სამოქალაქო აქტებში სქესის შეცვლის პროცედურის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტან-დარტების შესაბამისად დარეგულირებასა და ამ მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება დისკრიმინაციასთან ბრძოლის მიმართულებით არსებულ გამოწვევებს, აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ჯგუფთან, მათ შორის, საჯარო მოხელეებთან, საინფორმაციო შეხვედრებისას, არცთუ იშვიათად, იჩენს თავს სტერეოტიპული შეხედულებები და არადომინანტური ჯგუფების მიმართ მიმღებლობის პრობლემები, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, ცნობიერების ამაღლების მიმართულებით აქტიური მუშაობის აუცილებლობას, მათ შორის, სახელმწიფო დონეზე.

ქვეყანაში რელიგიის თავისუფლებასთან და რელიგიური ორგანიზაციების თანასწორუფლებიანობასთან დაკავშირებული პრობლემები კიდევ უფრო მეტად გამოიკვეთა პანდემიის პერიოდში. სახელმწიფოს პოლიტიკა, ხშირ შემთხვევაში, დომინანტი რელიგიური ჯგუფის პრივილეგიებით აღჭურვასა და სხვა რელიგიურ გაერთიანებებთან შედარებით, მის უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენებაში გამოიხატებოდა. სამწუხაროდ, ასევე წლიდან წლამდე შეუსრულებელია ეროვნული უმცირესობების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველყოფის მიზნით სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების ნაწილი. კერძოდ, არ გადადგმულა არსებითი ნაბიჯები სახელმწიფო უწყებებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეროვნული უმცირესობების პროპორციული და თანასწორი მონაწილეობის ხელშესაწყობად; არ შექმნილა ეფექტიანი ინსტიტუციონალიზებული საკონსულტაციო მექანიზმები, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა სახელმწიფო უწყებებში დასაქმების პროგრამები. კვლავ პრობლემურია სპეციფიკურად ეროვნული უმცირესობების კულტურის პოპუ-ლარიზაციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების სიმწირე.

ზემოაღნიშნულის გარდა, საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველი წლებია საუბრობს საბჭოთა მმართველობის პერიოდში მიღებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შეცვლის და ახალი კოდექსის შემუშავების აუცილებლობის თაობაზე, რადგანაც კოდექსი ადამიანის უფლებებთან და ძირითად თავისუფლებებთან თავსებადობის მინიმალურ სტანდარტსაც კი ვერ აკმაყოფილებს. თუმცა, სამწუხაროდ, აღნიშნული კუთხით საკანონმდებლო ცვლილებები დღემდე არ განხორციელებულა.

დამატებით საგულისხმოა, რომ სამწუხაროდ, სახალხო დამცველის მხრიდან აღნიშნულის საჭიროებაზე არაერთხელ ხაზგასმის მიუხედავად, კვლავ არ არსებობს უსახლკარო პირის სრულფასოვანი საკანონმდებლო განმარტება და სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციისთვის აუცილებელი ჩარჩო კანონმდებლობა. ქვეყანაში დღემდე არ არსებობს უსახლკარო პირთა ერთიანი, ხოლო რიგ მუნიციპალიტეტებში - ადგილობრივ მონაცემთა ბაზები. თითოეულ მუნიციპალიტეტს უსახლკარო პირებთან მიმართებით განსხვავებული სტანდარტი და მიდგომა აქვს. ამ ნაწილში დამატებით აღსანიშნავია, რომ 2021 წელს სახალხო დამცველმა კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და სხვადასხვა ნორმის გაუქმება მოითხოვა, რომლებიც არაკონსტიტუციურად ზღუდავენ უსახლკარო პირთა სათანადო საცხოვრისზე მისაწვდომობის უფლებას. სათანადო საცხოვრებლის უფლებიდან სრულად გამოირიცხებიან არასათანადო პირობებში მცხოვრები პირები, რომლებიც ცხოვრობენ საცხოვრისის ფუნქციის არმქონე სხვადასხვა ადგილებში ან თავს აფარებენ არამყარ ნაგებობებსა და საცხოვრისად გამოუსადეგარ კონსტრუქციებს; ასევე პირები, რომლებიც საცხოვრისში ცხოვრობენ სამართლებრივი გარანტიების გარეშე და გასახლების საფრთხის ქვეშ იმყოფებიან; იგივე წესის მიღმა რჩებიან დროებით, ახლობლებთან შეფარებული პირები; ინსტიტუციიდან გამოსვლის მოლოდინში მყოფი პირები, მათ შორის პენიტენციურ დაწესებულებებში, სამედიცინო დაწესებულებებში და ბავშვთა სახლებში მყოფი პირები.

გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ, სახალხო დამცველის მიერ აღნიშნულ პრობლემაზე წლების განმავლობაში ხაზგასმის მიუხედავად, ქვეყანაში მოქმედი ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობა ხარვეზიანია და ძირეულ რეფორმას საჭიროებს საერთაშორისო სტანდარტებთან მისასადაგებლად.

გამოწვევებზე საუბრისას ასევე უნდა აღინიშნოს, ჟურნალისტების დაცვისა და მათ მიმართ ძალადობის პრევენციის კუთხით არსებული პრობლემური საკითხები. სამწუხაროდ, ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად უჩვენა, რომ ხელისუფლების უმოქმედობა გამოიხატება, მათ შორის, სავარაუდო დანაშაულებრივი ფაქტების გამოუძიებლობასა და ძალადობრივი მოვლენების თავიდან ასარიდებლად საჭირო ღონისძიებების განუხორციელებლობაში, რასაც შესაძლოა მსუსხავი ეფექტი ჰქონდეს ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელების პროცესში.

და ბოლოს ასევე საგულისხმოა საჯარო სკოლებში პროზელიტიზმისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის დარღვევის შემთხვევები, რომელთა პრობლემურობაზეც სახალხო დამცველი წლებია საუბრობს არაერთ კონკრეტულ საქმეში და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს. თუმცა, სამწუხაროდ, აღნიშნული საკითხი კვლავ გამოწვევად რჩება.